# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 27 იანვარი 2006 №17 (2639) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## კიდევ ერთი ამხანაგური?

### საქართველო პარაგვაის ელაპარაკება

3

## 1:4

### პორტუგალიამ საქართველო ბოლოში დააყენა

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა „ვალე დო ტეხოს“ ტურნირის მეორე მატჩი მასპინძელ პორტუგალიასთან გამართა და 1:4 დამარცხდა. ამგვარად, ოთხგუნდა ტურნირში ქართველებმა ბოლო, მეოთხე ადგილი დაიკავეს.

პორტუგალიელებმა კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი მეორე ტაიმში უფრო დაჩაგრეს, მანამდე კი, 23-ე წუთზე უგო ალმეიდამ გაიტანა. ჩვენიანებს იმედი მეორე ტაიმის დასაწყისშივე მიეცათ გიორგი ჭელიძის გამთანაბრებელი გოლით, თუმცა მერე მასპინძლებმა საქმეს ხელი მოჰკიდეს და იმავ ალმეიდამ (55-ე წუთზე), სემედუმ (64) და ბრუნო ამარომ (82) კიდევ სამჯერ გაიტანეს.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*პორტუგალია: რიბეირო, მიგელ გარსია, სემედუ, ნუნუ მორაიში, ფერნანდესი (გონსალვეში 45), მეირელეში (მიგელ ანჟელო 45), ამარო, კვარეზმა (დავიდე 45), ივანილდო, ვარელა, უგო ალმეიდა (ოლივეირა 85).*

*საქართველო: თევდორაძე, მჭედლიშვილი, გვაძაბია (ჩიმაკაძე 75), ხიდეშელი, ელბაქიძე (თომაშვილი 67), განუგრავა, მახარაძე, ჭელიძე, ჩირიკაშვილი (წინამძღვრიშვილი 80), ბჟალავა (კახელიშვილი 44), გოცირიძე.*

აქვე გეტყვით, რომ ტურნირის გამარჯვებული გახდა სლოვაკეთი, რომელმაც ფინალში სლოვენიას 3:2 სძლია. გეხსომებათ, სლოვაკეთმა პირველ მატჩში საქართველო 3:1 დაამარცხა.

# დღეს სამ საათზე გული აგვიჩქარდება

## ევროპამ თასი შეიცვალა, საქართველომ — განწყობა



EURO2008
Austria-Switzerland

შვეიცარია. მონტრო. თბილისის დროით 15.15 საათი. ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ორგანიზატორთა სცენარით, სწორედ ამ დროს დაიწყება შვიდ კალათში განთესილი 50 ევროპული ქვეყნის შვიდ ჯგუფად დახარისხება. ამ პროცედურისთვის 16 წუთია გამოყოფილი, მერე კი... მერე იქნება ვნებათაღელვის, იმედის, მოლოდინის, სიხარულისა და ტკივილის ორი წელიწადი, რომელიც მავანთ ავსტრია-შვეიცარიის საგზურს მოუტანს, სხვებს უკეთესი მომავალის იმედს დაუტოვებს. რომელთა რიგში აღმოჩნდება საქართველო? ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას ბევრი ევრო, ევრომწვრთნელი, ევროფეხბურთელები, ევროსტადიონი და, ნუ ვიქნებით მიამიტნი, იღბალიც სჭირდება — ეგებ დღეს ყველაზე მეტად.

# მონტრო რეტრო არ იქნება
## საქართველო ბოლოსწინიდან დაიწყებს

დღეს შვეიცარიულ მონტროში ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრაა. რა როგორ იქნება, რომელ ჯგუფში, რომელ გუნდებთან მოუწევს მეტოქეობა საქართველოს ნაკრებს? ამ კითხვებს დღეს ნაშუადღევს ეპასუხება — სამ საათზე მონტროს კონგრეს-ცენტრში კენჭისყრის ცერემონიალი დაიწყება.

ამ შესარჩევი ეტაპის ფორმატი ადრინდელებისგან განსხვავებული იქნება და საქართველოსავით ჩამორჩენილ ქვეყნებს ავსტრია-შვეიცარიაში მოხვედრის მეტი შანსი მიეცემათ.

დავიწყოთ იმით, რომ წლეულს შესარჩევ ეტაპზე მონაწილეობას ევროპის 50 ქვეყანა მიიღებს. ავსტრია და შვეიცარია შესარჩევ ეტაპზე არ ითამაშებენ, ისინი, როგორც მასპინძლები, ევროპის ჩემპიონატზე ავტომატურად დაშვებულნი არიან. დანარჩენი გუნდებიდან კი შვიდი ჯგუფი გაკეთდება. A ჯგუფში რვა გუნდი იქნება, დანარჩენებში — შვიდ-შვიდი. შესაბამისად, ევრო 2004-ისა და მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპების შედეგების მიხედვით 50 ქვეყანა შვიდ კალათაშია განთესილი. საბერძნეთი, როგორც ევროპის ჩემპიონი, პირველ კალათაში მოხვდა. საქართველო, გეცოდინებათ, მეექვსეშია. მეშვიდე კალათაში კი რვა აუტსაიდერი გუნდია. კენჭისყრაც სწორედ მეშვიდე რვაგუნდიანი კალათიდან დაიწყება და პირველივე გუნდი A ჯგუფში მოხდება. A ჯგუფშივე ითამაშებს მეშვიდე კალათიდან ამოღებული ბოლო გუნდიც.

ჯგუფების მეორეადგილოსნები პლეი ოფში, როგორც აქამდე იყო, აღარ ითამაშებენ და ისინი გამარჯვებულებთან ერთად პირდაპირ ევროპის ჩემპიონატზე მოხვდებიან. შვიდ შესარჩევ ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები, პლუს ავსტრია-შვეიცარია და ევროპის ჩემპიონატის 16 მონაწილეც გარკვეული იქნება.

შესარჩევ ჯგუფში მატჩები, ტრადიციულად, მიმოსვლით, შინ და სტუმრად ჩატარდება. შესარჩევი ეტაპი სექტემბერში დაიწყება და გაის ნოემბერში დამთავრდება. უეფას ნებართვით, მეტოქეებს კალენდარზე მოლაპარაკება თავადვე შეუძლიათ, საამისოდ მათ კენჭისყრიდან სამი თვე ეძლევათ. ხოლო თუ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, მეტოქეებს თამაში უეფას დადგენილი კალენდრით მოუწევთ.

ჯგუფში გამარჯვებული, რა თქმა უნდა, ქულებით გამოვლინდება, მაგრამ საინტერესოა, თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა რომელ გუნდს მიენიჭება. კრიტერიუმი თანმიმდევრობით ასეთია:

— ურთიერთშეხვედრებში გატანილ-მიღებული გოლების უკეთესი სხვაობა.

— ურთიერთშეხვედრებში გატანილი მეტი გოლი.

— ურთიერთშეხვედრებისას სტუმრად გატანილი მეტი გოლი.

თუ მეტოქეებს ეს მაჩვენებლები თანაბარი ექნებათ, მაშინ გოლების სხვაობას, მეტ გატანილ გოლსა და სტუმრად გატანილ მეტ გოლს მთლიანად ყველა მეტოქესთან მატჩებისას დაითვლიან. და თუ ესენიც დაემთხვა, მერე უკვე ფეირ პლეის პრინციპით იხელმძღვანელებენ. ბოლო ვარიანტში კი გამარჯვებულს კენჭისყრა დაასახელებს.

მონტროში, როგორც ვთქვით, კენჭისყრა ჩვენი დროით სამ საათზე დაიწყება, იქამდე კი 21-წლამდელთა ნაკრებებიც დაწყვილდებიან. საღამოს შვეიცარიის ერთ-ერთი ტელეარხის პოპულარული წამყვანი ჟაკ დეშანუ გაუძღვება, ხოლო უეფას აღმასრულებელ-განმკარგულებელი ლარს-კრისტერ ოლსონი უშუალოდ კენჭისყრის პროცესს უხელმძღვანელებს, მას ამ საქმეში შვეიცარიული და ავსტრიული ფეხბურთის შეფები, ფრიდრიხ შტიკლერი და რალფ ზლოცოვერი, ასევე სახელოვანი ფეხბურთელები — შტეფან შაპუიზა და ანდრეას ჰერცოგი დაეხმარებიან.

აქვე გეტყვით, რომ 2008 წლის ავსტრიულ-შვეიცარიული ევროპის ჩემპიონატი ორგანიზატორებს 130 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

**კოტე ინასარიძე**



უეფას აღმასრულებელ-განმკარგულებელი ლარს-კრისტერ ოლსონი



ფრიდრიხ შტიკლერი და რალფ ზლოცოვერი



# გამოცნება, მარკეტინგი თუ ორივე ერთად?
## უჩა უგულავამ საფრანგეთი ინატრა

*ვის გვარგუნებს წილისყრა? ეს კითხვა, ბუნებრივია, მონტროში დაბანაკებული ქართული დელეგაციის წევრებსაც არ აძლევს მოსვენებას.*

*გუშინ საღამოს მონტროში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას დავუკავშირდით...*

— როგორია კენჭისყრის წინ ქართული დელეგაციის განწყობა?

— საქმიანი. მე და ბატონი ნოდარი ახლა შევდივართ ავტობუსით მონტროში. დავესწარით უეფას პლენარულ სხდომას, რომელმაც ბელგიური „შარლერუას" საჩივარზე იმსჯელა. ამ კლუბის ფეხბურთელმა უეფას ეგიდით გამართულ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და ახლა „შარლერუა" კომპენსაციას უეფასგან ითხოვს.

— კლაუს ტოპმიოლერი სად არის?

— ჩვენ უეფას სხდომის გამო ერთი დღით ადრე ჩამოვედით შვეიცარიაში, ტოპმიოლერი კი ალბათ ერთ საათში შემოგვიერთდება.

— ხომ არ გქონიათ საუბარი ჩვენთვის ყველაზე უფრო მისაღები ქვეჯგუფის ვარიანტზე?

— არა, რადგან მეექვსე კალათაში განთესილი გუნდისთვის მისაღებ ვარიანტზე საუბარი ძნელია.

— გრანდთაგან ვინ შეგვხვდება, დიდი სხვაობა არ უნდა იყოს. თქვენ რომელ გუნდს ისურვებდით მეტოქედ?

— საფრანგეთს.

— მარკეტინგული მოსაზრებით ალბათ „ტოპმიოლერი გერმანიის წინააღმდეგ" ყველაზე მომგებიანი იქნება...

— რა თქმა უნდა და იქნებ არამხოლოდ მარკეტინგული მოსაზრებითაც...

— რა სტადიაშია პარაგვაელებთან ამხანაგური შეხვედრის თაობაზე მოლაპარაკება?

— 90 პროცენტით გადაწყვეტილი ამბავია.

**გიორგი ნოზაძე**

| I კალათა | II კალათა | III კალათა | IV კალათა | V კალათა | VI კალათა | VII კალათა |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | გერმანია | სერბეთი | ბოსნია | უნგრეთი | *საქართველო* | ლიხტენშტაინი |
| ჰოლანდია | ხორვატია | რუსეთი | ირლანდია | ფინეთი | მაკედონია | აზერბაიჯანი |
| პორტუგალია | იტალია | დანია | ბელგია | ესტონეთი | ბელარუსი | ანდორა |
| ინგლისი | თურქეთი | ნორვეგია | ლატვია | უელსი | სომხეთი | მალტა |
| ჩეხეთი | პოლონეთი | ბულგარეთი | ისრაელი | ლიტვა | ჩრდ. ირლანდია | ფარერები |
| საფრანგეთი | ესპანეთი | უკრაინა | შოტლანდია | ალბანეთი | კვიპროსი | ყაზახეთი |
| შვედეთი | რუმინეთი | სლოვაკეთი | სლოვენია | ისლანდია | მოლდოვა | ლუქსემბურგი |
| | | | | | | სან მარინო |

### იტალია
თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩი

იუვენტუსი 2:3 რომა

### ესპანეთი
თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩი

სარაგოსა 4:2 ბარსელონა

### ამხანაგური მატჩები

სინგაპური 1:2 დანია

ეკვადორი 1:0 ჰონდურასი

მექსიკა 2:1 ნორვეგია

### საქართველო ევროშესარჩევებში

ევრო 1996

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 10 | 8 | 1 | 1 | 27:10 | 25 |
| ბულგარეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 24:10 | 22 |
| საქართველო | 10 | 5 | 0 | 5 | 14:13 | 15 |
| მოლდოვა | 10 | 3 | 0 | 7 | 11:27 | 9 |
| ალბანეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:16 | 8 |
| უელსი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:19 | 8 |

ევრო 2000

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 10 | 8 | 1 | 1 | 21:9 | 25 |
| სლოვენია | 10 | 5 | 2 | 3 | 12:14 | 17 |
| საბერძნეთი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:8 | 15 |
| ლატვია | 10 | 3 | 4 | 3 | 13:12 | 13 |
| ალბანეთი | 10 | 1 | 4 | 5 | 8:14 | 7 |
| საქართველო | 10 | 1 | 2 | 7 | 8:18 | 5 |

ევრო 2004

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 8 | 4 | 3 | 1 | 15:11 | 15 |
| რუსეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 19:12 | 14 |
| ირლანდია | 8 | 3 | 2 | 3 | 10:11 | 11 |
| ალბანეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:15 | 8 |
| საქართველო | 8 | 2 | 1 | 5 | 8:14 | 7 |

# საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს, ვინც შარშან დაინიშნა ამ პოსტზე, მანამდე არანაირი ჩინოვნიკური გამოცდილება არ გააჩნდა სპორტში, თუმცა ის ახლა ერთ-ერთი საკვანძო კადრია ფედერაციაში. ქავთარაძესთან ზოგად-კონკრეტულ საკითხებზე ვისაუბრეთ და ჯერ იმაზე გვიპასუხა, თუ როგორ დაინიშნა ფედერაციაში ვიცე-პრეზიდენტად...*

**ზეწოლა ხელისუფლებისგან — არა**
**ფული ხელისუფლებისგან — კი**
**მწვრთნელი სამ გუნდში — არა**
**ახალი ბაზა — კი**
**CV — არა**

## გოგი ქავთარაძე: თუ პიროვნება ხარ, ეს ხელისუფლებასაც დაუმტკიცე



ბაჩო კითილაშვილის ფოტო

გოგი ქავთარაძე და ნოდარ ახალკაცი

— ნოდარ ახალკაცს ადრეც ვიცნობდი და როცა გადაწყდა, რომ ის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის იყრიდა კენჭს, ჩემი პროექტები და სამსახური შევთავაზე, წინასაარჩევნო კამპანიისას მას რეგიონებშიც დავყვებოდი.

— თქვენ არ გაგაჩნდათ საფეხბურთო მოხელის CV და თქვენზე ამბობენ, ვიცე-პრეზიდენტობა იმიტომ ერგო, რომ ხელისუფლების კაციაო...

— რაში გამოიხატება, რომ მე ხელისუფლების კაცი ვარ ფედერაციაში? ამ ფაქტს კატეგორიულად უარვყოფ, ხელისუფლების კადრი ნამდვილად არ ვარ, უბრალოდ, მეგობრები მყავს ხელისუფლებაში და ასევე ოპოზიციაშიც.

— ეჭვებს, რომ თქვენ ხელისუფლების კადრი ხართ, სწორედ ის აძლიერებს, რომ ვიცე-პრეზიდენტობამდე ფეხბურთში, როგორც მოხელეს, არ გიმუშავიათ, მანამდე საფეხბურთო სამყაროში არ ჩანდით...

— შესაძლოა, ახალკაცს ჩემზე რეკომენდაცია გაუწიეს, მაგრამ ამას არანაირი გადამწყვეტი როლი არ შეუსრულებია იმაში, რომ მე ვიცე-პრეზიდენტი გავხდი. საკუთარ თავს თვითონ ვაფასებ — სადაც ჩემი ადგილი არ არის, იქ არ წავიდოდი. ვმუშაობდი გაზეთ „მიმომხილველის“ სპორტული განყოფილების რედაქტორად, მერე სხვა გაზეთებშიც, „რუსთავი 2-ში“ პროდიუსერად, თავისუფლების ინსტიტუტში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ალპეში“...

— არასამთავრობო ორგანიციაში მუშაობდით და რამდენად მისაღებია თქვენთვის ის, რომ ხელისუფლებამ დიდად განაპირობა ფედერაციაში ნოდარ ახალკაცის გაპრეზიდენტება? ფაქტია, პრეზიდენტობის ყველა დანარჩენმა მსურველმა კანდიდატურა მოხსნა...

— თუ მიგაჩნია, რომ რალაცას სწორად აკეთებ, ხელისუფლების დირექტივით არ უნდა მოქმედებდე, თუ ამბიცია გაქვს, მაშინ ეს ამბიცია საფუძვლიანი უნდა იყოს. თუ ხელისუფლების ზეწოლით ხდება ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატურის მოხსნა, ეს იმ ადამიანების პრობლემაა, ვინც ამას აკეთებს. საერთოდ, ჩვენნაირ განვითარებად ქვეყანაში, თუ ხელისუფლება ცდილობს, ყველაფრის სადავეები ჰქონდეს ეს ბუნებრივია, მაგრამ თუ შენ პიროვნება ხარ, ეს ხელისუფლებასაც უნდა დაუმტკიცო. ჩვენთან ახლა ისეთი სიტუაცია ნამდვილად არ არის, რომ ხელისუფლება ტოტალურად აწარმოებდეს ზეწოლას. თუ რამე უსამართლობას აქვს ადგილი, პირველ რიგში, პროტესტის გრძნობა უნდა გქონდეს და არა შეგუების.

— და როგორ ეგუებით იმას, რომ რამდენიმე თვის წინ ქართული ფეხბურთის ბედს, ფაქტობრივად, სამი კაცი წყვეტდა — ნოდარ ახალკაცი, ილია კოკაია და გაიოზ დარსაძე?

— ახალკაცი ახალი ჩამოსული იყო გერმანიიდან თბილისში და, შესაძლოა, მეგობრების გარკვეულ წრეს ყურს უგდებდა, მაგრამ ისე არ ყოფილა, რომ მთლად ეს სამი პიროვნება წყვეტდა ყველაფერს. ყოველ შემთხვევაში, სიტუაცია უკეთესობისკენ რომ შეიცვალა, ფაქტია.

— თქვენ გაიოზ დარსაძის დაწინაურებას შეეგუეთ და როგორც ალმასკომის წევრმა, მხარი დაუჭირეთ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მის მთავარმწვრთნელობას...

— როცა ალმასკომმა გაიოზ დარსაძე დაამტკიცა ნაკრების მწვრთნელად, მაშინ არ არსებობდა ფული მაღალი დონის უცხოელი მწვრთნელის მოსაწვევად, ამიტომაც დარსაძის მწვრთნელად დანიშვნა სწორი გადაწყვეტილება იყო, ეს ასე ვთქვათ; მცირებიუჯეტიანი პროექტი იყო.

— გაიოზ დარსაძის მოხსნა პრესისა და გულშემატკივრების გარდა, ხელისუფლების ზეწოლითაც მოხდა — ასეთ მოსაზრებასაც არ ეთანხმებით?

— არა, უბრალოდ, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ სახელოვანი უცხოელი მწვრთნელისთვის ფინანსების მოძიების თაობაზე სახელმწიფოსთან საუბარი ადვილი გახდა. მანამდე კი ასეთი სიტუაცია მომწიფებული არ იყო. ვფიქრობ, ფედერაციამ ამ ფულის მოძიებისთვის წარმატებით იმუშავა.

— კლაუს ტოპმიოლერისა და მისი თანაშემწის ანაზღაურების რა პროცენტს იხდის ხელისუფლება და რა პროცენტს — ფედერაცია?

— ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა.

— ასაკობრივ ნაკრებზეც ვთქვათ. 17-წლამდელებს გერმანელი ჰერბერტ ცანკერი გაწვრთნის, რომლის უწინდელი საქმიანობის შესახებ ცნობები ჯერ არსაიდან ჩანს...

— ეს საკითხი ტოპმიოლერთანაა შეთანხმებული და, არა მგონია, რომ ტოპმიოლერს უცნობი მწვრთნელის კანდიდატურისთვის მხარი დაეჭირა.

— ცანკერზე ჯერ კიდევ შარშან იყო საუბარი, ანუ მაშინ, როცა ტოპმიოლერი ჩვენი ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატიც არ იყო...

— ახლა ყველაფერს ერთიან სისტემაში ვაქცევთ, ტოპმიოლერი ასაკობრივი ნაკრებების საქმიანობაშიც ჩაერევა.

— და ტოპმიოლერი მხარს უჭერს იმას, რომ ერთი მწვრთნელი სამ გუნდს ხელმძღვანელობდეს? კობა ჟორჟიკაშვილი 19 და 21-წლამდელთა ნაკრებების გარდა ხომ „ზესტაფონი 2-ის“ მწვრთნელიცაა..

— ერთიანი სისტემის შექმნა უცბად ვერ მოხერხდება. მე კი ვფიქრობ, რომ სამი გუნდის გაწვრთნა მწვრთნელისთვის ზედმეტი დატვირთვაა და არჩევანი უნდა გაკეთდეს კლუბსა და ნაკრებს შორის. მოკლედ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

— ფედერაცია ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციას აპირებს, რა ეტაპზეა ეს საქმე?

— მალე ეროვნული სტადიონის მეწილეები შევიკრიბებით და ზუსტად დადგინდება, ვის რა სამუშაოების შესრულება შეუძლია. გვინდა, რომ დამდეგი შესარჩევი ციკლისთვის ეროვნული სტადიონი მზად იყოს. ფედერაცია ახალი ტექნიკური ბაზის აშენებასაც აპირებს, რადგან ჩვენი ახლანდელი ბაზა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



შესაძლოა, როკე სანტა კრუზის შეჩერებაზე ქართველმა მცველებმაც იფიქრონ

## ვეძებთ ამხანაგს: საქართველო პარაგვაის ავსტრიაში ნახავს?

**საქართველოს** ეროვნული ნაკრებისთვის, რომელიც კლაუს ტოპმიოლერის ხელში, ფაქტობრივად, ნულიდან იწყებს ფორმირებას, თითოეულ ამხანაგურ შეხვედრას ოქროს ფასი აქვს. გერმანელ მწვრთნელს მალტის ტურნირზე მხოლოდ ერთ შეხვედრაში ექნება ნაკრების ლიდერთა გამოცდის შანსი, ამას გარდა, უკვე შეთანხმებულია სპარინგის თარიღი ალბანელებთან — „ბალკანელ არწივებს“ 22 მარტს ვესტუმრებით.

დაგვეთანხმებით, ორი შეხვედრა ნამდვილად არ არის საკმარისი ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება-შეთამაშებისთვის. იგეგმებოდა კიდევ ერთი საკონტროლო შეხვედრა გერმანიის ნაკრებთან, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ამასობაში კი, შესაძლოა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მცდელობა, ამხანაგური შეხვედრა მუნდიალის ფინალური ეტაპის რომელიმე მონაწილესთან გაჩარხოს, მაინც წარმატებით დაგვირგვინდეს. ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მოლაპარაკება მიმდინარეობს პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციასთან. პარაგვაის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების დასვენით ეტაპს ავსტრიაში გაივლის და თუ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, შეხვედრა სწორედ ავსტრიაში, სავარაუდოდ, 1 ივნისს გაიმართება. ბაიერნელი როკე სანტა კრუზის და მისი თანაგუნდელების წინააღმდეგ თამაში ჩვენი გუნდისთვის ჩინებული გამოცდა, კლაუს ტოპმიოლერისთვის კი კიდევ ერთი შანსი იქნება, მაღალი დონის მეტოქესთან ჭიდილში შეამოწმოს შეგირდთა შესაძლებლობები.

**გიორგი ნოზაძე**



დიმიტრი რამიშვილი

# კალენდარის ტოპის საქმეა

## არ გაქვს კონტრაქტი? ადი ტრიბუნაზე!

*გუშინ გაიმართა საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომა, რომელმაც უმაღლესი ლიგის მეორე წრის კალენდარი მოიწონა, მაგრამ ვერ დაამტკიცა — თექვსმეტი გუნდის განრიგი ჩვენი ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერთან და ფეხბურთის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან უნდა შეთანხმდეს. გამგეობამ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც იმსჯელა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიც მიიღო...*

## პროფლიგა მეორე წრეს ლატარიით და აიეტით იწყებს

დავიწყოთ კალენდრით. დამტკიცებული ამ დროისთვის მხოლოდ ის არის, რომ უმაღლესი ლიგის მეორე წრე 22 თებერვალს დაიწყება და 13 მაისს დამთავრდება, ხოლო პირველი ლიგა 25 თებერვლიდან 12 მაისამდე გასტანს. თებერვალში მატჩები 14 საათზე დაიწყება, მარტში — 15-ზე, აპრილში — 16-ზე და მაისში — 17-ზე. კალენდრის ვერდამტკიცების მიზეზი კი ასეთია — ეროვნულ ნაკრებს გაზაფხულზე შეკრებები და ამხანაგური მატჩები ელის, რისთვისაც „ფანჯრები“ აუცილებელია და კალენდარზე საბოლოო სიტყვა ტოპმიოლერმა და ახალკაცმა უნდა თქვან.

რამდენიმე დღის წინ „სარბიელში“ დაუცველ და უკონტრაქტო ქართველ მწვრთნელებზე წერილი დაიბეჭდა და პროფლიგამ საქმე დაძრა — უმაღლესი ლიგის გუნდებში უკონტრაქტოდ მომუშავე მწვრთნელები და მათი ასისტენტები მატჩისას სათადარიგოთა სკამზე ვერ დასხდებიან.

პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა გამგეობას ლატარიის პროექტი წარუდგინა და ორი ვარიანტი შესთავაზა — ლატარიის გათამაშების დაწყება მიმდინარე ჩემპიონატის მეორე წრიდან ან ახალი სეზონიდან. გადაწყდა, რომ ლატარია უკვე ამ სეზონის მეორე წრიდან გათამაშდება. ამით პროფლიგა, ასე ვთქვათ, კიდევ ერთი კურდღლის დაჭერას აპირებს — მაყურებელი მიიყვანოს თამაშებზე და მას ბილეთის ყიდვის კულტურა აღუდგინოს — ნაყიდი ბილეთი იმავდროულად ლატარიის ბილეთიც იქნება. შესაძლოა, ლატარია პირველი ლიგის რამდენიმე თამაშზეც გათამაშდეს.

რამიშვილმა გამგეობას პროფლიგის ახალი სპონსორიც წარუდგინა — კომპანია „აიეტი“. პროფლიგის გენერალური სპონსორია „კოკა-კოლა“, მთავარი სპონსორი — „ჯეოსელი“, სპონსორი — „საქართველოს ბანკი“, ხოლო „აიეტს“ ოფიციალური სპონსორის სტატუსი ექნება.

ვინძლო, მალე ტელესაკაბელო კომპანია „აიეტის“ ნუსხაში ქართული სპორტული არხიც გამოჩნდეს, რომელიც მეტწილად საფეხბურთო იქნება და უცხოეთის გარდა ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსა და ამბებსაც მიმოიხილავს. ამ კომერციულ პროექტზე უკვე მიმდინარეობს მუშაობა, რომლის განხორციელებით თურმე „აიეტის“ პრეზიდენტი ზურაბ ჩოგოვაძეც დიდად არის დაინტერესებული.

სხდომაზე მიწვეული იყო სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის ახალი ხელმძღვანელი ამირან კაჭახიძე და მან მსაჯების დანიშვნის ერთ დროს უკვე აპრობირებული სისტემის შემოღება შესთავაზა პროფლიგის გამგეობას — მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრიდან მსაჯები დაინიშნებიან წინასწარ და არა ტურამდე რამდენიმე დღით ადრე, ანუ 7-8 ტურის მატჩებზე მსაჯების ვინაობა ადრევე გაცხადდება, მერე კი დარჩენილი ტურების მსაჯები გამოვლინდებიან — კაჭახიძის ეს შეთავაზება სხდომამ მოიწონა და დაამტკიცა.

აი, ასეთი სიახლეები ელის მიმდინარე სეზონის მეორე წრეს.

**დავით თავართქილაძე**

# სიონმა გიგიაძესთან წააგო

## ბოლნისელებს უკრაინაში თოვლ-ქარბუქი დახვდათ

**ბოლნისის** „სიონმა“ იალტურ შეკრებაზე პირველი საკონტროლო მატჩი გამართა და ვასილ გიგიაძის „კრივბასთან“ 0:1 წააგო. თამაში კი, მაგრამ სხვა მხრივ „სიონი“ ცუდ დღეში ყოფილა — მართალია, ხვიჩა ქასრაშვილის გუნდი იალტის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში დაბინავდა და პირობებს არ უჩივის, მაგრამ თოვლი და ქარბუქი ვარჯიშის საშუალებას თითქმის არ იძლევა.

29 იანვარს „სიონი“ სიმფეროპოლში ჩავა და იქაურ „ტავრიას“ იმ შემთხვევაში ეთამაშება, თუ ამინდი შეუწყობს ხელს. ბოლნისელები სხვა სპარინგმატჩების მოკვარახჭინებასაც ეცდებიან.

ხვიჩა ქასრაშვილის ხელქვეით 22 ფეხბურთელია, ახალი სახე არავინაა, თუმცა უკრაინელ მოთამაშეებზე დაკვირვება მიმდინარეობს და შესაძლოა, ორი ახალგაზრდა ლეგიონერიც ჩამოიყვანონ ბოლნისში.

**ილია ნანოგაშვილი**



ხვიჩა ქასრაშვილი

# კოლხეთი გუნაის ნაპირზე

## ამბობენ, საქმე ასარჩევადააო

**ფოთის** „კოლხეთის“ და სტამბოლის „ბეშიქთაშის“ ერთ-ერთი სპონსორის შესაძლო თანამშრომლობაზე ადრეც ვწერდით. თურქული კომპანიის წარმომადგენლები უკვე ფოთში არიან და გუნდისა და ქალაქის ხელმძღვანელებს შეხვდნენ.

„კოლხეთის“ ტექნიკურ დირექტორ ლევან სარსანიას თქმით, თურქულ კომპანია „გუნაისთან“ მოლაპარაკება ცოტათი გაიწელა, რადგან „გუნაის“ სამი ხელმძღვანელიდან მხოლოდ ერთი ყოფილა ჩამოსული და გადაწყვეტილების მარტო მიღებას მორიდებია. სარსანიამ ვარაუდის დონეზე გვითხრა, თუ შეთანხმება შედგა, „კოლხეთის“ წილს ქალაქის მერია და თურქული კომპანია 50-50 პროცენტებად გაინაწილებენო. გარდა ამისა, „კოლხეთს“ დავალიანება აქვს და თურქები მის გადახდაზეც არ ამბობენ უარს.



სოსო ფილიას და „კოლხეთს“ თურქების იმედი აქვთ

„ამ კომპანიას ფოთში სურს ბიზნესსაქმიანობა და „კოლხეთიც“ მათ გეგმებში მოიაზრება. ჯერჯერობით საბოლოო შეთანხმებამდე შორია, დეტალებამდე საქმე არ მისულა“ — ესეც სარსანიას სიტყვებია.

„კოლხეთის“ ტექნიკურ დირექტორს არც ის დაუმალავს, რომ ზღვისპირული კლუბით სხვა სერიოზული ბიზნესმენებიც არიან დაინტერესებულნიო. ერთი მათგანი საქართველოში მოღვაწეობს, მეორე კი — რუსეთში.

„აქ იმაზე არაა ლაპარაკი, ერთწლიანი გუნდი გაკეთდეს და მერე ყველაფერი წყალში ჩაიყაროს. მოკლედ, თურქები და კიდევ ორი ბიზნესმენი — ამ სამიდან ერთ-ერთი ვარიანტი მაინც გამოვა.

სხვა შემთხვევაში კი „კოლხეთს“ ძალიან გაუჭირდება, რადგან სახელმწიფო ხარჯებით კლუბის შენახვა როგორია, ყველამ კარგად იცის“ — ლევან სარსანიამ იქვე დაამატა, ერთადერთი შეფერხება ისაა, რომ სეზონის შუაში ყველა ერიდება კლუბში მოსვლასო, რაც გასაკვირი არ უნდა იყოსო...

**ილია ნანოგაშვილი**

# რევიშვილი ესპანეთშიც არ თამაშობს

**18 წლის** მეკარე ნუკრი რევიშვილმა ყაზანის „რუბინთან“ კონტრაქტს კი მოაწერა ხელი, მაგრამ ალბათ კარგა ხანი სათადარიგო იქნება.

სათათრეთის გუნდის თავკაცმა ყურბან ბერდიევმა რევიშვილი გიორგი ქინქლაძესთან და ლაშა სალუქვაძესთან ერთად ესპანურ შეკრებაზე წაიყვანა, სადაც „რუბინს“ ტესტ-მატჩი ჰქონდა და ესპანური პრიმერადივიზიონის აუტსაიდერ „ალავესთან“ 1:2 წააგო.

ყაზანელთა კარში 90 წუთის განმავლობაში ხარჩიკი იდგა და საინტერესოა, საკონტროლო თამაშებში თუ არა, სხვაგან სად უნდა გამოსცადოს ბერდიევმა რევიშვილი?

რაც შეეხება სხვა ქართველებს, გიორგი ქინქლაძემ პირველი ტაიმი ითამაშა და მისი პასით გაიტანა ბაირამოვმა გოლი, თუმცა მეორე ნახევარში „რუბინის“ შემადგენლობა მთლიანად შეიცვალა და „ალავესმა“ ბოლო წუთებზე გატანილი ორი გოლით მოატრიალა თამაში. ლაშა სალუქვაძემ სწორედ მეორე ტაიმი ითამაშა სრულად.

შეგახსენებთ, რევიშვილს არც „რუბინის“ წინა ამხანაგურ მატჩში უთამაშია. ბუნებრივია, ვერაა კარგი ამბავი, როცა საქართველოს ნაკრების მეკარე სათამაშო პრაქტიკის გარეშეა და ძირითადში მოხვედრის მაინცდამაინც დიდი პერსპექტივაც არ უჩანს...

**ილია ნანოგაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა


როზი


ზარანინა ტოპმიოლერი


ჰაინც ტოპმიოლერი
16.03.1950

# იცხოვრე და აცხოვრე
## სადაც ტოპმიოლერია, იქ სიცოცხლეა

**საქართველოს** ნაკრების ახალ მწვრთნელზე კლაუს ტოპმიოლერზე იმდენი ითქვა და დაიწერა, თითქოს ახალიც რაღა უნდა გითხრათ, მაგრამ გერმანულ გამოცემებში ამ კაცზე საკმაო ინფორმაცია მოიძებნება და გადავწყვიტეთ, ამჯერად ტოპი და მისი ოჯახი წმინდა საფეხბურთო კუთხით გაგაცნოთ. მით უმეტეს, ჰერ კლაუსის ოჯახში ფეხბურთს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს — მეუღლე როზვიტასა და ქალიშვილ ზარანინას თუ არ ჩავთვლით, ტოპმიოლერის ოჯახში ყველა პროფესიონალი ფეხბურთელია...

რა თქმა უნდა, კლაუს ტოპმიოლერით დავიწყებთ, ოღონდ, გასაგებ მიზეზთა გამო, მის ფეხბურთელის კარიერას დიდ ადგილს არ დავუთმობთ — ამაზე ადრეც ბევრი დაგვიწერია...


კლაუს ტოპმიოლერი

საქართველოს ნაკრების დღევანდელი იმედი 1951 წლის 12 აგვისტოს მოევლინა ქვეყანას. კლაუსი პატარა ქალაქ რივენიხში დაიბადა და დღემდე იქ ცხოვრობს. მართალია, ფეხბურთელობისას ტოპი სხვადასხვა ქალაქებში ინაცვლებდა ხოლმე, მაგრამ მშობლიური რივენიხი არასოდეს მიუტოვებია — იქ ადრე მისი მშობლები ცხოვრობდნენ, ახლა კი კლაუსი და როზი, რომლებმაც ერთმანეთი 1975 წელს გაიცნეს და მალევე დაქორწინდნენ.

ტოპის და როზის სამი შვილი ჰყავთ — 28 წლის მარკო, 26 წლის ზარანინა და 25 წლის დინო. ბიჭები, როგორც ვთქვით, ფეხბურთელები არიან, ქალიშვილი კი პოპმომღერალია. სხვათა შორის, დინო 23 ნოემბერს, ჩვენთვის გიორგობა დღესაა დაბადებული და საინტერესოა ისიც, რომ საქართველოში ტოპის შესაძლო ჩამოყვანაზე შარშან პირველად სწორედ 23 ნოემბერს ითქვა საჯაროდ...

ჰერ კლაუსი „კაიზერსლაუტერნის" ცოცხალი ლეგენდა და ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია — 1972-80 წლებში ბუნდესლიგის 204 მატჩში 108 გოლი გაიტანა. საინტერესოა ისიც, რომ „კაიზერსლაუტერნშივე" გამოჩნდა პირველად ჰაინც ტოპმიოლერი, კლაუსის უფროსი ძმა და თანაშემწე საქართველოს ნაკრებში.

ჰაინცი კლაუსზე ერთი წლით უფროსია — 1950 წლის 16 მარტს დაიბადა და „კაიზერსლაუტერნში" თავის ძმასთან ერთად ოთხი წელი თამაშობდა (1972-75 წლებში), ოღონდ, უმეტესად სარეზერვო გუნდში იყო. საერთო ჯამში, ოფიციალურ დონეზე ძმები მოედანზე ერთად სულ ოთხჯერ გავიდნენ — 1973-74 წლების სეზონში ჰაინცი მწვრთნელებმა შეცვლაზე ათამაშეს. ეს იყო და ეს...

მუდმივად მოტივირებული გენიოსი — ასე უწოდებენ კლაუს ტოპმიოლერს გერმანიაში და ეს სახელი მან მწვრთნელობისას დაიმსახურა. მწვრთნელობა კი 19 წლის წინ დაიწყო: 1987 წლის 1 ივლისს რეგიონალლიგის „ზალმრორი" ჩაიბარა, მერე იყო „ულმი" (1988-89), აუე (1990-91), „ვალდჰოფი" (1991-93), „აინტრახტი" (1993-94), „ბოხუმი" (1994-99), „ზაარბრიუკენი" (1999-2000), „ლევერკუზენი" (2001-03), „ჰამბურგი" (2003-04).

ტოპის სამწვრთნელო მიღწევებზე ბევრს არ ვილაპარაკებთ, ყველაფერი ისედაც კარგად იცით და ისევ გერმანელ ჟურნალისტებს დავესესხებით — სადაც ტოპმიოლერია, იქ სიცოცხლეა — ასე აღწერენ ისინი ჰერ კლაუსის გაწვრთნილ გუნდებს.

ფეხბურთელობისას ტოპის სწავლა არ მიუტოვებია და ინჟინრის დიპლომით იწონებს თავს. გერმანიის სოციალისტური შრომის პარტიის წევრს სამშობლოში განათლებული კაცის იმიჯი აქვს. აინტერესებს ფსიქოლოგია, უყვარს დოსტოევსკი და ალმერთებს მუჰამედ ალის...

„იცხოვრე და აცხოვრე" — ეს ტოპის ცხოვრების დევიზია და ის ბედნიერ მამად თვლის თავს, რადგან ზარანინამ შარშანწინ სწორედ ამ სახელწოდების სინგლი ჩაწერა. სხვათა შორის, ამ სიმღერამ 2004 წლის გერმანიის მთავარი მუსიკალური ჯილდო მიიღო. თუმცა ტოპი სულაც არ ითვლება თავისი ქალიშვილის ვოკალური სტილის თაყვანისმცემლად. ჰერ კლაუსი „ბითლზის" და „როლინგ სთოუნზის" ფანია და სიამოვნებით უსმენს ამ ჯგუფებს, როცა წითელი „ფერარით" ავტობანზე მიჰქრის.

ერთი დეტალიც: ტოპის „ფერარის" სახელად „დინო" ჰქვია...

**ქახა შალამბერიძე**


მარკო ტოპმიოლერი
16.01.1978
ოსნაბრიუკი (2000),
ნოინკირხენი (2001),
კაიზერსლაუტერნი (2001-03),
გრევენმახერი (2004-05),
ნოინკირხენი (2005-06)


დინო ტოპმიოლერი
23.11.1980
ზალმრორი (1999), ზაარბრიუკენი (2000-01), მანჩესტერ სიტი (2001), ბოხუმი (2002-03), აინტრახტი (2003-04), აუე (2004-05), რეგენსბურგი (2005-06)


**თქვენი ინტერვიუ**

**კლაუს ტოპმიოლერთან**

*`თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.*

*კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.*

*იაქტიურეთ!*



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net




რუნი საას გოლს ულოცავს

# მისტერ პოლი, ხიზანას ხელი და მუშტები გვირაბში

**ლიგის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**მანჩესტერი 2:1 ბლეკბერნი (1:1)**
1:0 ვან ნისტელროი (8), 1:1 რიდი (32), 2:1 საა (51)
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვ. ბრაუნი, ევრა (სილვესტრი 80), რუნი, დ. ფლეტჩერი, გიგზი (ა. სმითი 13), კ. რიჩარდსონი, ვან ნისტელროი (ვიდიჩი 86), საა
**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი
**ბლეკბერნი:** ფრიდელი, ნილი, ნელსენი, **ხიზანიშვილი**, მ. გრეი, ე. რიდი, სევიჯი, თუგაი (პეტერი 86), მ. პედერსენი, კუქი (ემერტონი 76), ბენტლი
**მწვრთნელი:** მარკ ჰიუზი
**გაფრთხილება:** სმიტი, რიჩარდსონი, ნელსენი
**მსაჯი:** გრემ პოლი
**61 637 მაყურებელი**

**„ოლდ ტრეფორდის“** გასახდელში ამტყდარ ჩხუბს აუცილებლად გაარჩევს ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია.

ორი მატჩის ჯამში „მანჩესტერმა“ „ბლექბერნს“ სძლია ლუი საას გადამწყვეტი გოლით და 26 თებერვალს „უიგანს“ შეხვდება ლიგის თასის ფინალში.

ჩხუბი კი შესვენებისას ატყდა, როცა ცხელგულა რიო ფერდინანდმა გვირაბში შესვლამდე ხელი ჰკრა უხეშ რობი სევიჯს და საქმის გარჩევა დაუწყო, რუდ ვან ნისტელროის ტყუპი წიხლით რად ჩაუხტიო.

რობი სევიჯი კი ის კაცია, ვინც სწორედ ასეთ გარჩევებს ეძებს.

ზედახორა გასახდელებთან გაგრძელდა. მისი თვითმხილველი ბლექბერნელთა მენეჯერი მარკ ჰიუზიც იყო, ფერგიმ კი თქვა, არაფერი დამინახავსო.

მსაჯმა გრემ პოლმა წითელი ბარათები გვირაბში არ გამოიყენა და გუნდები კვლავ სრული შემადგენლობით გამოიყვანა მინდორზე.

51-ე წუთზე საამ 2:1-ზე დააწინაურა „მანჩესტერი“, თუმცა ბლექბერნელები ამ გოლის ჩათვლით უკმაყოფილონი დარჩნენ, რადგან, როცა საა ურტყამდა, მაშინ დარენ ფლეტჩერი თუგაი ქერიმოღლუს ცელავდა.

პოლმა „ბლექბერნის“ კარში შემთხვევით ხელზე დანიშნა პენალტი, „მანჩესტერისაში“ კი მსგავსი ჯარიმა ვერ შენიშნა. მან ასევე დაინდო ვან ნისტელროი, რომლის განზრახული უხეშობა უბარათოდ გაატარა.

მოკლედ „მანჩესტერი“ ფინალში გაფოფხდა. ჰიუზმა კი თქვა:

„დღეს მისტერ პოლს ეგონა, რომ 61 ათასი კაცი მის სანახავად იყო მისული და არა ნამდვილი ფეხბურთისა“.

ის პენალტი კი ჩვენთვის იმიტომ არის დასანანი, რომ ბურთი ზურაბ ხიზანიშვილს მოხვდა ხელზე.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ფანტასტიკური ქაღალდი ანრისთვის



„არსენალის“ თავმჯდომარემ, პიტერ ჰილ-ვუდმა განაცხადა, რომ კლუბმა სრულიად ფანტასტიკური პირობები შესთავაზა თავის კაპიტანს, ტიერი ანრის.

28 წლის ანრის კონტრაქტი 2007 წელს უმთავრდება და კლუბთან მოლაპარაკებები უკვე დაიწყო.

— დეტალებს ვერ გეტყვით, მაგრამ აქ დიდ ფულზეა ლაპარაკი — თქვა ჰილ-ვუდმა — შეთავაზება ხუთწლიანია. არსენ ვენგერი ფიქრობს, რომ ანრი კიდევ დიდხანს ითამაშებს. ეს შეთავაზება ისეთია, რომ „ჩელსის“ შეთავაზებებს არაფრით ჩამოუვარდება.

მეთოფეებს უნდათ, რომ ანრიმ რაც შეიძლება მალე მოაწეროს ხელი ამ ახალ კონტრაქტს.

ვენგერი ახალი გუნდის შენებას იწყებს და ანრის ამ გუნდის ლიდერად ხედავს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კრუასანი, პანიკა, კიდევ პანიკა და გახლეჩილი ფეხი

**როგორ მოხვდა პატრის ევრა „მანჩესტერ იუნაიტედში“? თურმე საკმაოდ უცნაურად, მილანში გაცნობილი ვიღაც სენეგალელის, მონაზონთა ჯგუფის, გაუთავებლად მოკამათე მწვრთნელის და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის დახმარებით, რომელმაც საუცხოო საქმე გაუკეთა — „ჩელსისთან“ შეხვედრაში ისე დაამავა, რომ დღემდე დიდი ნაიარევი ეტყობა. თუმცა, მოდი, ყველაფერი თანმიმდევრობით მოვყვეთ, ისე, როგორც თავად ევრამ უამბო ინგლისურ გაზეთ „ობზერვერს“.**

**დავიწყოთ** დაბადებით. 24 წლის პატრისი სენეგალის დედაქალაქ დაკარში მოვლენია ქვეყნიერებას, ოღონდ მანამდე დედ-მამა ევრებს მისი შვიდი და-ძმა გაუჩენიათ. თუმცა შვიდი რა ბედენაა, მამამისს კიდევ სამჯერ უქორწინია და თუ არ შეშინდებით, გეტყვით, რომ თექვსმეტიც იმ სამ ოჯახში ჰყოლია.

სხვა მხრივაც ყოჩაღი კაცი ბრძანებულა მამა ევრა, სენეგალის საელჩოში უმუშავია და სამსახურად ჯერ ბრიუსელში, შემდეგ კი პარიზში გაუშვიათ. ერთი სიტყვით, როდესაც პატრისი დაახლოებით თავისი ვაჟის, ლენის ტოლი ანუ სულ რამდენიმე თვისა ყოფილა, თავი პარიზის კორპუსებიან გარეუბანში les ulis-ში ამოუყვია. ეს გარეუბანი საფრანგეთის დედაქალაქს სამხრეთიდან უდგას და ჩვენთვის იმითაა ცნობილი, რომ იქ დაიბადა და გაიზარდა ტიერი ანრი.

მაგრამ ანრისა და ევრას შორის, უი, რამხელა განსხვავებაა! პირველის ნიჭი უბანშიც და საფეხბურთო სკოლაშიც ბავშვობაშივე შეამჩნიეს და მისი ცხოვრება იმთავითვე სპორტულ კალაპოტში მოექცა, ევრა კი 17 წლისა უსაქმურობისგან საფუნთუშედან კრუასანებს იპარავდა — კრუასანი რქის ფორმის ფრანგული ფუნთუშაა.

ერთხელაც, ერთმა სხვა უბნელმა ძმაკაცმა პატრისი თავისთან ხუთგუნდიან ტურნირზე სათამაშოდ დაპატიჟა. თურმე ნუ იტყვით და, ტურნირს ვიღაც იტალიელი სკაუტი ესწრებოდა. მივიდა თამაშის მერე ეს სკაუტი პატრისთან და უთხრა, არ გინდა, „ტორინოში“ წაგიყვანო? ევრა დათანხმდა, ტურინში ჩაჰყვა, „ტორინოს“ მწვრთნელების თვალწინ ბურთი გააგორ-გამოაგორა და კონტრაქტიც გააფორმა, ოღონდ... სიცილიურ „მარსალასთან“, რომელიც მაშინ La liga diletante-ში გამოდიოდა. ასე გახდა ევრა პროფესიონალი ფეხბურთელი.

მერე ასეთი ამბები მოხდა: სიცილიურ გუნდს სეზონისწინა შეკრება ჩრდილო იტალიაში უნდა გაევლო და იქ ჩასასვლელად სკაუტმა ევრას პარიზიდან მატარებლის ბილეთი აუღო.

„ასეთ საერთაშორისო მოგზაურობაში ნამყოფი არ ვიყავი, ამიტომ მილანამდე კი ჩავედი, მაგრამ იქ თავგზა ამებნა და ჩემი მატარებელი ვერ ვიპოვნე“ — იგონებს პატრისი, რომელიც, ბუნებრივია, საბრალო სანახავი გახლდათ: იდგა მილანის ვაგზალზე, ვერავის ვერაფერს აგებინებდა და სრული პანიკა დაუფლებოდა. ყველაზე დიდი, რაც მოახერხა, ეს იყო — პარიზში დედამისს დაურეკა და უთხრა, სახლში მინდაო. დედამ კაცობისკენ მოუწოდა, ვითარებაში გარკვევა ურჩია, რაც იმით დამთავრდა, რომ ბიჭმა ახლო-მახლო გაიარ-გამოიარა, თავი ვერაფერს მოაბა და ღამის გასათენებლად ბაქანზე სკამზე წამოწვა. აი, ამ დროს გამოჩნდა ვიღაც სენეგალელი, რომელიც სულ თავში ვახსენეთ.

„მან შემჩნია, სასოწარკვეთილი რომ ვიყავი, მოვიდა და მიშველა. ჯერ თავისთან დასაძინებლად წამიყვანა, სადაც პატარა ოთახში გაშლილ ლეიბზე ხუთს გვეძინა, მეორე დღეს კი მატარებელზე დამსვა. ნეტავ კიდევ მანახა ის ბიჭი და მადლობა მათქმევინა“ — ამბობს ევრა.

მატარებელში კი საშინლად ცხელოდა. ამ სიცხისგან იყო თუ სხვა რამისგან, პატრისი კვლავ პანიკამ მოიცვა, ვაითუ ჩემს სადგურს გავცდეო. პატარა სადგურებს ხომ საერთოდ არაფერი ეწერა და პარიზიდან მომავალი ახალგაზრდა თავს გამოუვალ მდგომარეობაში გრძნობდა, მის წინ მსხდომი მონაზვნები კითხვებით დატანჯა... ფრანგულად. როგორც იქნა, ერთ-ერთი მონაზონი მიხვდა, რა სადგურსაც კითხულობდა სულ სხვანაირი გამოთქმით ბიჭი და დაპირდა, გეტყვით, როდესაც მივალთო, მაგრამ საქმეში ხარ. პანიკა იმის პანიკაა, რომ არ მოგასვენებს — ევრა ყოველ ხუთ წუთში უმეორებდა ერთსა და იმავეს. ბოლოს, როდესაც მატარებელი როგორც იქნა მივიდა იქ, სადაც ფეხბურთელი მიდიოდა, მონაზვნებმა სიცილითა და ხელის კვრით ჩააგდეს მატარებლიდან.

ევრა: „ზურგით ჩემმა დანახვამ მათ შვება მოჰგვარა“.

„მარსალაში“ კი ახალი ღელვის საბაბი გამოჩნდა: მას ნამდვილი ფორმის კომპლექტი აჩუქეს!

შემდეგ დაიწყო ჩემპიონატი, ევრამ 27 თამაშში 6 გოლი გაიტანა, გულშემატკივრებმა კი „შავი ირემი“ შეარქვეს. მოკლედ, სიცილიამ დღეს უკვე „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშეს საუკეთესო მოგონებები დაუტოვა, თუმცა წინ საფეხბურთო თვალსაზრისით მეტი და მეტი ელოდა. კერძოდ, მას მერე, რაც აგენტთა მიზეზით პატრის ევრას „რომასა“ და „ლაციოში“ გადასვლა ჩაუვარდა, მან სერია B-ს „მონცასთან“ გააფორმა კონტრაქტი, ოღონდ „მონცაში“ ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მწვრთნელს ის საერთოდ არ აინტერესებდა. სამაგიეროდ, კარგად ისწავლა გზა მილანის ვაგზლისკენ, მისმა ძმამ დომენიკმა (რომელიც უკვე თან ჰყავდა) კი ცოლი შეირთო და მილანშივე კაფე გახსნა.

ერთი სიტყვით, „მონცას“ რომ უნდა გაჰყროდა, პატრისისთვის იმთავითვე ნათელი გახდა და დაბრუნდა კიდეც საფრანგეთში, სადაც მეორე დივიზიონის „ნიცაში“ აიყვანეს. „ნიცაში“ ევრა თავიდან თავდასხმაში თამაშობდა, მაგრამ შემდეგ, თანაგუნდელების ტრავმების გამო, მწვრთნელმა სანდრო სალვიონიმ დაცვის მარცხენა ფრთაზე დაწია და... იქვე დატოვა. ევრა ჩხუბობდა, არ მინდა, თავდამსხმელი ვარო, მაგრამ სეზონის ბოლოს საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო მარცხენა მცველად აღიარეს.

მერე მარცხენა მცველს ეპატიჟებოდნენ „ბარსელონასა“ და „ისერში“, ახალგამწვრთნელებულმა დიდიე დეშანმა კი დაარწმუნა და „მონაკოში“ წაიყვანა.

და აი, აქ შემოდის სცენაზე ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი: ჩემპიონთა ლიგის 2004 წლის გათამაშების ნახევარფინალში „მონაკო“ „ჩელსის“ შეხვდა, თუმცა ევრასთვის ეს ყველაფერი მალე დამთავრდა — „სტემფორდ ბრიჯზე“ ბურთი ხეირიანად არც გაგორებულიყო, რომ პატრისმა ჰასელბაინკთან შეჯახებისას ძალიან ცუდი ხმა გაიგო. ეს ხმა მისმა ფეხმა გამოსცა. დეშანი ექიმის დასკვნას არც დალოდებია, გახეული გეტრის და გახლეჩილი ფეხის დანახვაზე სათადარიგოს გასძახა, ევრა კი მიუბრუნდა და... რომ შემცვალო, თავს გაგიტეხავო, უთხრა მწვრთნელს.

„ვიგრძენი, რომ რომც მოვმკვდარიყავი, უნდა მეთამაშა. რაც შეეხება უხეშ ნათქვამს, მერე, ცხადია, ბოდიში მოვიხადე.“

ევრას ცხრა ნაკერი დაადეს. ამ ინციდენტმა მას საამაყო ნაიარევიც დაუტოვა, მაგრამ განა მარტო ეს? ინციდენტს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმაც უყურა და აღფრთოვანდა...

იმ ზაფხულს პატრის ევრა მანჩესტერის ვაგზალზე ჩამოვიდა.

**პაპუნა ძიძია**





# კახა გადაეფარა

## იტალია

**თასის 1/4 ფინალი. 1 მატჩები**

**უდინეზე 1:1 სამპდორია**

1:0 დი ნატალე (23), 1:1 დიანა (76)

**უდინეზე:** პოლეტი, საპატა, ნატალი, ფელიპე, კანდელა (როსინი 80), დ. ძენონი, პინცი, ბარონიო (აგილარი 68), პიერი, ტისონე, დი ნატალე

მწვრთნელი: სერსე კოზმი

**სამპდორია:** კასტელაცი, ჯ. ძენონი, პავანი, მ. კასტელინი, მ. პიზანო, დიანა, ვოლპი, პალომბო (მარკეზეტი 58), კუტუზოვი (დალა ბონა 46), ფლაკი (ფოტი 87), კოლომბო

მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო

გაფრთხილება: კასტელინი, კოლომბო, პინცი

მსაჯი: როკი

600 მაყურებელი

**მილანი 1:0 პალერმო**

1:0 ჯილარდინო (86)

**მილანი:** კალაჩი, შიმიჩი, ნესტა, კოსტაკურტა, კალაძე (სერჯინიო 62), გატუზო (პირლო 46), ფოგელი, იანკულოვსკი, რუი კოშტა (კაკა 72), ჯილარდინო, ამოროზო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

**პალერმო:** ანდუხარი, ძაკარდო, ბარძალი, ბიავა, გროსო, მ. გონსალესი, ბარონე, ბონანი, სანტანა (აკარდი 84), გოდეაში (კარაჩოლო 65), დი მიკელე (ბრიენცა 76)

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

მსაჯი: ფარინა

2 105 მაყურებელი

**არ უნდა** მოსვლოდა „უდინეზეს" მწვრთნელ სერსე კოზმის ასეთი რამ — შინ „სამპდორიასთან" 1:1-ს ვგულისხმობთ. საქმე ის არის, რომ უდინელთა შეფებს სერია A-ში მეთერთმეტე ადგილზე ყოფნა ისედაც არ ეპიტნავებათ და ზედ სათასო, თან საშინაო მატჩში 1:1 მეტისმეტი იყო.

მაინც რა ქნა კოზმიმ? რა და, კარგად იცოდა, რომ მოგება მართებდა და ტაქტიკურ ექსპერიმენტზე წავიდა, გენუელებს 4-5-1 განლაგებით დახვდა. ამ ვარიანტში მისი ერთადერთი თავდამსხმელი ანტონიო დი ნატალე იყო. კაცმა რომ თქვას, ამ ვარიანტმა თავიდან მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა, დი ნატალემ ჯერ ძელს გაარტყა ბურთი, მერე კი გაიტანა, მაგრამ „უდინეზემ", ჟარგონი რომ მოვიშველიოთ, მეტი ველარ გაქაჩა. როგორც ოქმიდან ხედავთ, 76-ე წუთზე აიმო დიანამ გაუთანაბრა. ოქმსმიღმა გეტყვით, რომ გათანაბრებისას დიანა კართან ახლოს იყო.

„სან სიროზე" კი ქომაგებმა იტალიაში დაბრუნებული ძველი ბრაზილიელი ნაცნობის, მარსიო ამოროზოს კარგი დებიუტი იხილეს, თუმცა მას გოლი არ გაუტანია და საერთოდაც, „მილანმა" „პალერმოს" კარში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა და ისიც შეხვედრის მიწურულს. ეს ალბერტო ჯილარდინომ შეძლო.

სანამ ამ გოლზე ვიტყოდეთ, ისა ვთქვათ, რომ კახა კალაძემ ითამაშა და ერთ ეპიზოდში თავი იმით გამოიჩინა, რომ გოდეაშის დარტყმულს გადაეფარა. გოლი კი ჯილარდინომ შეცვლაზე შესული კაკას პასით გაიტანა.

**პაპუნა ძიძია**

# ჩააბარებენ იუვენტუსს ტელეჟურნალისტს?

## კაპელო — არა დიახამდე

**2006 წელი** იქნება თუ 2007, „რეალში" გადავა თუ „მანჩესტერ იუნაიტედში", ფაქტია, რომ ფაბიო კაპელო „იუვენტუსს" დატოვებს და ეს დრო არც ისე შორსაა. ამის მერე „ბებერ ქალბატონს" მორიგი ახალი ეპოქა დაეწყება. მიიღო კაპელოს მემკვიდრეობა, ეს დიდი პატივია და დიდი პასუხისმგებლობაც. ტურინში კი ყველაფრის წინასწარ გათვლა უყვართ და პატარა წარუმატებლობასაც ვერ ეგუებიან. აქედან გამომდინარე, დონ ფაბიოს შემცვლელზე ფიქრი დაწყებულია და ყველას აინტერესებს, ვინ იქნება იგი. პირველი კანდიდატი უკვე დასახელებულია — ჯანლუკა ვიალი.



იტალიის „იუვენტუსის" და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი, გამორჩეული თამაშის სტილით და კარგი ადამიანი, როგორც მას ახასიათებენ. ვიალიმ მწვრთნელობა უკვე მოსინჯა. თავდაპირველად „ჩელსიში" და არცთუ წარუმატებლად. შემდეგ „უოტფორდში", მაგრამ ბევრად ნაკლები ეფექტით. ამჟამად იგი ტელევიზიაში კომენტატორად მუშაობს.

ჯანლუკა ვიალი: „მხოლოდ განსაკუთრებული შემოთავაზება მაიძულებს ახლანდელი სამსახურის მიტოვებას. ამ საქმეს ძალიან მივეჩვიე და მართლაც სასიამოვნოა, როდესაც ქომაგებს პროფესიულ აზრს უზიარებ, საფეხბურთო ხედვას უცვლი და სწორ აზრამდე მიგყავს".

ერთი სიტყვით, ხოტორა სპეციალისტი მზად არის, „იუვენტუსი" ჩაიბაროს, მაგრამ რადიკალური განცხადებებისგან ჯერ თავს იკავებს. მერე და მერე კი იგი ინგლისში დაბრუნებას გეგმავს. კერძოდ, ლონდონში ანუ ქალაქში, რომელიც მას „ჩელსიში" გატარებული წლების მერე ძალიან შეუყვარდა.

„მწვრთნელობას, იმედია, ჯერ იტალიაში დავუბრუნდები, თუმც შემდეგ დიდი სიამოვნებით გადავალ ისევ პრემიერლიგაში, მინდა, სამწვრთნელო კარიერა ინგლისში დავასრულო. ლონდონი ძალიან მიყვარს, თანაც ჩემი ცოლი და ქალიშვილი სწორედ ამ ქალაქში დაიბადნენ. ფეხბურთიდან საბოლოოდ წასვლის მერე ალბათ სწორედ ლონდონში ვიცხოვრებ" — დასძინა ვიალიმ.

ამასობაში ფაბიო კაპელომ ჟურნალისტებს განუცხადა, კონტრაქტის ვადის გასვლამდე არსად წასვლას არ ვაპირებ და ჭორებს ნურავინ აჰყვებაო. მის სახელს ხომ ყველაზე ხშირად მადრიდის „რეალს" და „მანჩესტერ იუნაიტედს" უკავშირებენ.

კაპელომ თავის კომენტარს ხუმრობის ელფერიც შესძინა და ყველანაირად გამორიცხა ჭორები: ზოგი მათგანი უსირცხვილო ხალხის მონაჩმახია, ზოგი ტყუილია, ზოგიც, უბრალოდ, მართალი არ არის".

59 წლის მწვრთნელს მარკო მარკიონიზეც ჰკითხეს. პარმელი გარემარბი ხომ მომავალი სეზონიდან „იუვენტუსში" ითამაშებს.

„მარკიონი მომწონს და, ბუნებრივია, ისეთ ფეხბურთელს, რომელსაც არ ვაფასებ, არც დავიმატებდით. ამგვარ გადაწყვეტილებებს ყველანი ერთად ვიღებთ. მე და დირექტორები ერთ მაგიდას ვუსხედვართ ხოლმე, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც ჩემზეა. მწვრთნელმა უკეთ იცის, რომელი ფეხბურთელი სჭირდება" — თქვა კაპელომ.

**გიორგი ძაძამაძე**

# ელ ნინიო: მილანი თუ აბრამოვიჩის მილიონები?

## ბერლუსკონი დაცვას არ იცავს

**იტალიური** „მილანი" ფერნანდო ტორესისთვის ბრძოლაში ჩაერთო. მადრიდის „ატლეტიკოს" ფინანსური პრობლემები შეექმნა და იძულებული გახდა, ახალგაზრდა ვარსკვლავი ტრანსფერზე დაეყენებინა. ესპანური კლუბი 22 წლის თავდამსხმელის მაქსიმალურად სარფიანად გაყიდვას აპირებს. ასე რომ, თუ „როსონერის" სერიოზულად სურს ტორესის შეძენა, ჯიბეში ხელის ღრმად ჩაყოფა მოუწევს.

გავითვალისწინოთ ისიც, რომ „ელ ნინიოს" მსურველები მრავლად ჰყავს. ამბობენ, „ჩელსის" პრეზიდენტმა რომან აბრამოვიჩმა ამ ტრანსფერისთვის დაახლოებით 34 მილიონი გირვანქა უკვე გადადოო. გულგრილნი არც „არსენალი", „რეალი" და სხვა კლუბები არიან.

„მილანის" სასარგებლოდ ორი ფაქტორია. პირველი თავად ტორესის აზრია. მას მრავალჯერ უთქვამს, კარიერის გაგრძელებას იტალიაში ვამჯობინებდიო. ხოლო მეორე „როსონერისა" და „ატლეტიკოს" კარგი ურთიერთობაა.

„სან სიროდან" წასული კრისტიან ვიერის შემცვლელი შავ-წითლებმა უცებ იპოვნეს მარსიო ამოროზოს სახით. თანაც პიპო ინძაგიც ათამაშდა, მაგრამ სილვიო ბერლუსკონი და კომპანია, როგორც ჩანს, მაინც თავდასხმის გაძლიერებაზე ფიქრობს.

ახლა კარლო ანჩელოტის ყველაზე მეტად დაცვაში უჭირს, თუმცა ამ პოზიციაზე ახალი მოთამაშის ყიდვის შესახებ ჯერ არაფერი ისმის. სამაგიეროდ, კლუბის უფროსობა ნახევარდაცვის გაძლიერებაზეც ფიქრობს და „აიაქსის" ვესლი სნეიდერისთვის დაუდგამს თვალი.

მილანელთა გენერალური დირექტორი არეიდო ბრაიდა უკვე ამსტერდამშია და 21 წლის ფეხბურთელის ტრანსფერზე აწარმოებს მოლაპარაკებას. სნეიდერი „აიაქსის" ცნობილი აკადემიის აღზრდილი და დღესდღეობით ერთ-ერთი უნიჭიერესი მოთამაშეა. იგი მშვენიერი დრიბლიორია და სახიფათო ჩაწოდებებით გამოირჩევა. თანაც ორივე ფეხით შეუძლია კარგად თამაში. სნეიდერი „აიაქსთან" კონტრაქტით 2009 წლამდეა დაკავშირებული.

**კოკი კანდელაკი**



ფერნანდო ტორესი

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიურმა** „რომამ" მომავალ ზაფხულს შესაძლოა, ვეტერანი ფორვარდი კრისტიანო ლუკარელი დაიმატოს. „ლივორნოს" ბომბარდირი ბოლო სეზონებში მართლაც ჩინებულად ირჯება და მუნდიალზე მოხვედრის იმედი ჯერ არ დაუკარგავს. „კრისტიანო „რომაში" სიამოვნებით გადავა. მას „გლადიატორთა" მაისურის მორგება უნდა და იმედია, შეთანხმება შედგება" — თქვა ლუკარელის აგენტმა კარიო პალავიჩინომ.

**გერმანულმა** „ნიურნბერგმა" დრეზდენის „დინამოს" ბომბარდირი ჯოშუა კენედი შეიძინა. 23 წლის ავსტრალიელი კლუბს ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაში უნდა დაეხმაროს. „გუნდი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის და ყველანაირად ვეცდები, დავეხმარო. დიდი ხანია, ჩემს შანს ველოდი და დავამტკიცებ, რომ ბუნდესლიგაში სათამაშოდ მზად ვარ" — თქვა კენედიმ.

**ინგლისურმა** „პორტსმუთმა" თანაქალაქელი „ჩარლტონიდან" ვეტერანი მეკარე დინ კილი იყიდა. ტრანსფერის ფინანსური მხარე არ ხმაურდება. 35 წლის ირლანდიელი კლუბის გამოცვლას სიამოვნებით დათანხმდა, რადგანაც „ჩარლტონის" ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდებოდა. მას მერე, რაც „პორტსმუთში" რუსი ბიზნესმენი ალექსანდრ გაიდამაკი გამოჩნდა, კლუბმა უკვე 6 ახალი მოთამაშე დაიმატა. იქამდე ლონდონელებმა ბენჟამინ მვარუვარი, ემანუელ ოლისადებე, პედრო მენდესი, შონ დევისი და ნოე პამაროტი შეიძინეს.

**იტალიური** „ფიორენტინა" კიდევ ერთი მეკარით გაძლიერდა. ფლორენციელებმა „ემპოლის" კარის დარაჯ ჯანლუკა ბერტისთან ნახევარწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი. იგი „აიაქსიდან" ნაყიდი ბოგდან ლობონტის შემცვლელად სურთ. „ემპოლიში" სანაცვლოდ კრისტიან კებასი გაუშვეს. „ბედნიერი ვარ, „იებს" ყოველთვის ვქომაგობდი და ამ ტრანსფერმა მართლაც ძალიან გამახარა. სხვა შემთხვევაში „ემპოლის" არასოდეს დავტოვებდი. ჩემმა შვილებმა უკვე მთხოვეს „ფიორენტინას" მაისურა. მთელი ოჯახი კმაყოფილია" — თქვა 39 წლის ბერტიმ.

**ესპანური** „სოსიედადი" სეზონის ბოლომდე ალბათ მარკ გონსალესით გაძლიერდება. ჩილელს ევროკავშირის პასპორტი არ აქვს, „ლივერპულში" კი უცხოელი ფეხბურთელების ლიმიტი უკვე შევსებულია და მერსისაიდელებს გონსალესი უქმად ჰყავთ. ლივერპულელებს იმედი აქვთ, რომ ამ ნახევარი წლის მანძილზე გონსალესი ბასკურ კლუბში სათამაშო პრაქტიკას და, რაც მთავარია, ესპანურ პასპორტს მიიღებს, რის მერეც პრობლემაც გადაიჭრება.

# მესტალიაზე სისხლი დაიღვარა

## ესპანეთი

### თასის 1/4 ფინალი
### საპასუხო მატჩები

**ესპანიოლი 2:0 კადისი (2:0)**
1:0, 2:0 ხოფრე (72, 76პ)
ესპანიოლი: ირაისისი, არმანდუ სა, დავიდ გარსია, ლოპო, ხარკე, ედუარდო კოშტა, ხოფრე, ფრედსონი (მოიზესი 56), ხუანფრანი (საბალეტა 81), პანდიანი, კორო (დე ლა პენია 77)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
კადისი: ლიმია, დე ლა კუესტა, დე კინტანა, ა. პასი (ესტოიანოფი 76), მარიო სილვა, ივან ანია (მიროსავლიევიჩი 65), ფლურკინი, ლობოსი (ბეზარესი 83), მორანი, ენრიკე, ოლი
მწვრთნელი: ვიქტორ ესპარაგო
მსაჯი: ესკინას ტორესი
9 500 მაყურებელი

**რეალი 1:0 ბეტისი (1:0)**
1:0 რობინიო (44)
რეალი: კასილიასი, სისინიო, სერხიო რამოსი, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, ბექჰემი, გრავესენი, ზიდანი (რაულ ბრავო 79), ჟულიო ბაპტისტა, რობინიო, კასანო (სოლდადო 77)
მწვრთნელი: ხუან რამონ ლოპეს კარო
ბეტისი: დობლასი, ხუანიტო, ვარელა, პ. კასტელინი, მელი, არზუ, ფერნანდო (ტარდელი 46), კაპი, ხოაკინი, რივერა (ედუ 46), დანი (რობერტი 63)
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: სერიხო რამოსი, მელი, რობერტო კარლოსი
მსაჯი: პერეს ლასა
62 000 მაყურებელი

**ვალენსია — დეპორტივო (0:1)**
1:0 ვილია (43)
*მატჩი 44-ე წუთზე ჩაიშალა*
ვალენსია: ბუტელი, მიგელი, მარჩენა, მორეტი, ალბელდა, ბარახა, რეგეირო, ალბიოლი, აიმარი, ვილია, ანგულო
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, ხუანმა, კოლოჩინი, დუშერი, სერხიო, სკალონი, არისმენდი, მუნიტისი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: მიგელი
გაძევება: მარჩენა (8)
მსაჯი: მეხია დავილა
32 000 მაყურებელი

| 11077 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11078 | ჰერტა-ჰანოვერი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11079 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11080 | მაინცი-კიოლნი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11081 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11083 | შტუტგარტი-დუისბურგი | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 10.00 |
| 11084 | არმინია-ვერდერი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11086 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 5.00 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11097 | ასკოლი-იუვენტუსი | 10.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | 2.00 |
| 11099 | კიევო-რეჯინა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11100 | ემპოლი-პარმა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11101 | ლეჩე-ინტერი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.80 |
| 11103 | მესინა-კალიარი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11104 | მილანი-სამპდორია | 1.70 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11106 | პალერმო-სიენა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11107 | რომა-ლივორნო | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11108 | ტრევიზო-ლაციო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11109 | უდინეზე-ფიორენტინა | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11142 | ალავესი-სოსიედადი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11144 | ბილბაო-ხეტაფე | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11145 | ატლეტიკო-დეპორტივო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11146 | კადისი-რასინგი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11147 | სელტა-რეალი | 5.00 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.90 |
| 11148 | ესპანიოლი-მალაგა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11149 | მალიორკა-ბარსელონა | 10.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.70 |
| 11151 | ოსასუნა-ბეტისი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11153 | სევილია-ვილარეალი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11154 | ვალენსია-სარაგოსა | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11167 | ბორდო-ლანსი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11169 | ოსერი-რენი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11171 | ლე მანი-ტულუზი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11172 | მარსელი-სოშო | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 8.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11174 | ნანსი-აიაჩო | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11176 | ნანტი-ტროა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11177 | სტ.ეტიენი-ნიცა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11178 | სტრასბური-პსჟ | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11180 | ლილი-მეცი | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 8.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11182 | მონაკო-ლიონი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.50 | 20.00 | 10.00 | 3.40 |
| 11732 | განა-სენეგალი | 5.00 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11733 | ნიგერია-ზიმბაბვე | 1.50 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12051 | აბერდინი-კილმარნოკი | 1.70 | 1.90 |
| 12054 | დანფერმლაინი-მაზერველი | 1.70 | 1.90 |
| 12055 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 1.90 | 1.70 |
| 12057 | ლივინგსტონი-ფალკირკი | 1.70 | 1.90 |
| 12058 | ინვერნესი-რეინჯერსი | 1.90 | 1.70 |
| 12075 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 12077 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12078 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.90 | 1.70 |
| 12079 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 2.00 | 1.60 |
| 12080 | მაინცი-კიოლნი | 2.00 | 1.60 |
| 12081 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12083 | შტუტგარტი-დუისბურგი | 2.00 | 1.60 |
| 12084 | არმინია-ვერდერი | 2.20 | 1.50 |
| 12086 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 1.90 | 1.70 |
| 12097 | ასკოლი-იუვენტუსი | 1.90 | 1.70 |
| 12099 | კიევო-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 12100 | ემპოლი-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 12101 | ლეჩე-ინტერი | 2.00 | 1.60 |
| 12103 | მესინა-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 12104 | მილანი-სამპდორია | 2.00 | 1.60 |
| 12106 | პალერმო-სიენა | 1.90 | 1.70 |
| 12107 | რომა-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 12108 | ტრევიზო-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12109 | უდინეზე-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 12142 | ალავესი-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 12144 | ბილბაო-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 12145 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.60 | 2.00 |
| 12146 | კადისი-რასინგი | 1.60 | 2.00 |
| 12147 | სელტა-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 12148 | ესპანიოლი-მალაგა | 1.70 | 1.90 |
| 12149 | მალიორკა-ბარსელონა | 2.00 | 1.60 |
| 12151 | ოსასუნა-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 12153 | სევილია-ვილარეალი | 1.70 | 1.90 |
| 12154 | ვალენსია-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 12167 | ბორდო-ლანსი | 1.45 | 2.40 |
| 12169 | ისტრი-რენი | 1.60 | 2.00 |
| 12171 | ლე მანი-ტულუზა | 1.50 | 2.25 |
| 12172 | მარსელი-სოშო | 1.60 | 2.10 |
| 12174 | ნანსი-აიაჩო | 1.45 | 2.30 |
| 12176 | ნანტი-ტროა | 1.55 | 2.10 |
| 12177 | სტ.ეტიენი-ნიცა | 1.55 | 2.10 |
| 12178 | სტრასბური-პსჟ | 1.55 | 2.10 |
| 12180 | ლილი-მეცი | 1.60 | 2.00 |
| 12182 | მონაკო-ლიონი | 1.60 | 2.00 |
| 12231 | ბელენენსეში-პენაფიელი | 1.70 | 1.90 |
| 12232 | ბენფიკა-სპორტინგი | 1.70 | 1.90 |
| 12233 | ბრაგა-გიმარაეში | 1.70 | 1.90 |
| 12234 | ფერეირა-ბოავიშტა | 1.70 | 1.90 |
| 12235 | მარიტიმუ-ლეირია | 1.70 | 1.90 |
| 12236 | ნასიონალი-ჟილ ვისენტე | 1.70 | 1.90 |
| 12238 | ნავალი-ამადორა | 1.70 | 1.90 |
| 12239 | რიუ ავე-პორტუ | 1.70 | 1.90 |
| 12241 | სეტუბალი-აკადემიკა | 1.60 | 2.00 |
| 12732 | განა-სენეგალი | 1.60 | 2.00 |
| 12733 | ნიგერია-ზიმბაბვე | 1.70 | 1.90 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16051 | აბერდინი-კილმარნოკი | 1.60 | 1.80 |
| 16054 | დანფერმლაინი-მაზერველი | 2.00 | 1.55 |
| 16055 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 1.30 | 2.50 |
| 16057 | ლივინგსტონი-ფალკირკი | 1.60 | 1.90 |
| 16058 | ინვერნესი-რეინჯერსი | 2.90 | 1.25 |
| 16075 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 2.65 | 1.30 |
| 16077 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1.30 | 2.80 |
| 16078 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.30 | 2.70 |
| 16079 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.35 | 2.55 |
| 16080 | მაინცი-კიოლნი | 1.40 | 2.45 |
| 16081 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 2.00 | 1.60 |
| 16083 | შტუტგარტი-დუისბურგი | 1.15 | 3.80 |
| 16084 | არმინია-ვერდერი | 2.50 | 1.35 |
| 16086 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 2.10 | 1.55 |
| 16097 | ასკოლი-იუვენტუსი | 4.30 | 1.12 |
| 16099 | კიევო-რეჯინა | 1.25 | 2.80 |
| 16100 | ემპოლი-პარმა | 1.50 | 2.30 |
| 16101 | ლეჩე-ინტერი | 4.60 | 1.10 |
| 16103 | მესინა-კალიარი | 1.40 | 2.45 |
| 16104 | მილანი-სამპდორია | 1.10 | 4.70 |
| 16106 | პალერმო-სიენა | 1.25 | 3.00 |
| 16107 | რომა-ლივორნო | 1.25 | 3.00 |
| 16108 | ტრევიზო-ლაციო | 1.80 | 1.70 |
| 16109 | უდინეზე-ფიორენტინა | 2.00 | 1.60 |
| 16142 | ალავესი-სოსიედადი | 1.70 | 1.85 |
| 16144 | ბილბაო-ხეტაფე | 1.50 | 2.25 |
| 16145 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.55 | 2.10 |
| 16147 | სელტა-რეალი | 2.30 | 1.45 |
| 16148 | ესპანიოლი-მალაგა | 1.40 | 2.45 |
| 16149 | მალიორკა-ბარსელონა | 4.80 | 1.10 |
| 16151 | ოსასუნა-ბეტისი | 1.30 | 2.80 |
| 16153 | სევილია-ვილარეალი | 1.55 | 2.10 |
| 16154 | ვალენსია-სარაგოსა | 1.20 | 3.40 |
| 16167 | ბორდო-ლანსი | 1.30 | 2.80 |
| 16169 | ისტრი-რენი | 1.25 | 2.90 |
| 16171 | ლე მანი-ტულუზა | 1.35 | 2.60 |
| 16172 | მარსელი-სოშო | 1.25 | 3.10 |
| 16174 | ნანსი-აიაჩო | 1.35 | 2.70 |
| 16176 | ნანტი-ტროა | 1.30 | 2.65 |
| 16177 | სტ.ეტიენი-ნიცა | 1.40 | 2.30 |
| 16178 | სტრასბური-პსჟ | 1.90 | 1.60 |
| 16180 | ლილი-მეცი | 1.15 | 3.80 |
| 16182 | მონაკო-ლიონი | 2.00 | 1.60 |
| 16732 | განა-სენეგალი | 2.20 | 1.50 |
| 16733 | ნიგერია-ზიმბაბვე | 1.04 | 5.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13051 | აბერდინი-კილმარნოკი | 1.70 | 1.90 |
| 13054 | დანფერმლაინი-მაზერველი | 1.70 | 1.90 |
| 13055 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 1.70 | 1.90 |
| 13057 | ლივინგსტონი-ფალკირკი | 1.70 | 1.90 |
| 13058 | ინვერნესი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13075 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13077 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13078 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.70 | 1.90 |
| 13079 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.60 | 2.00 |
| 13080 | მაინცი-კიოლნი | 1.60 | 2.00 |
| 13081 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 1.60 | 2.00 |
| 13083 | შტუტგარტი-დუისბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13084 | არმინია-ვერდერი | 1.70 | 1.90 |
| 13086 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 1.60 | 2.00 |
| 13097 | ასკოლი-იუვენტუსი | 1.90 | 1.70 |
| 13099 | კიევო-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 13100 | ემპოლი-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13101 | ლეჩე-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13103 | მესინა-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 13104 | მილანი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13106 | პალერმო-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 13107 | რომა-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 13108 | ტრევიზო-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13109 | უდინეზე-ფიორენტინა | 1.60 | 2.00 |
| 13142 | ალავესი-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 13144 | ბილბაო-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 13145 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13146 | კადისი-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 13147 | სელტა-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13148 | ესპანიოლი-მალაგა | 1.70 | 1.90 |
| 13149 | მალიორკა-ბარსელონა | 1.90 | 1.70 |
| 13151 | ოსასუნა-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13153 | სევილია-ვილარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13154 | ვალენსია-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 13167 | ბორდო-ლანსი | 1.90 | 1.70 |
| 13169 | ისტრი-რენი | 1.90 | 1.70 |
| 13171 | ლე მანი-ტულუზა | 1.90 | 1.70 |
| 13172 | მარსელი-სოშო | 1.90 | 1.70 |
| 13174 | ნანსი-აიაჩო | 1.90 | 1.70 |
| 13176 | ნანტი-ტროა | 1.90 | 1.70 |
| 13177 | სტ.ეტიენი-ნიცა | 1.90 | 1.70 |
| 13178 | სტრასბური-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 13180 | ლილი-მეცი | 2.00 | 1.60 |
| 13182 | მონაკო-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13732 | განა-სენეგალი | 1.70 | 1.90 |
| 13733 | ნიგერია-ზიმბაბვე | 1.90 | 1.65 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15051 | აბერდინი-კილმარნოკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15052 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15054 | დანფერმლაინი-მაზერველი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15055 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15057 | ლივინგსტონი-ფალკირკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15058 | ინვერნესი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15075 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15077 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15078 | ჰერტა-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15079 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | მაინცი-კიოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15081 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15083 | შტუტგარტი-დუისბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15084 | არმინია-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15086 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15097 | ასკოლი-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | კიევო-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | ემპოლი-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | ლეჩე-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | მესინა-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | მილანი-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | პალერმო-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | რომა-ლივორნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | ტრევიზო-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15109 | უდინეზე-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15142 | ალავესი-სოსიედადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | ბილბაო-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | ატლეტიკო-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | კადისი-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | სელტა-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | ესპანიოლი-მალაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | მალიორკა-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | ოსასუნა-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15153 | სევილია-ვილარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15154 | ვალენსია-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15167 | ბორდო-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15169 | ისტრი-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | ლე მანი-ტულუზა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | მარსელი-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | ნანსი-აიაჩო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | ნანტი-ტროა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | სტ.ეტიენი-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | სტრასბური-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | ლილი-მეცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | მონაკო-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15231 | ბელენენსეში-პენაფიელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15232 | ბენფიკა-სპორტინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15233 | ბრაგა-გიმარაეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15234 | ფერეირა-ბოავიშტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15235 | მარიტიმუ-ლეირია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15236 | ნასიონალი-ჟილ ვისენტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15238 | ნავალი-ამადორა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15239 | რიუ ავე-პორტუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15241 | სეტუბალი-აკადემიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15732 | განა-სენეგალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15733 | ნიგერია-ზიმბაბვე | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14051 | აბერდინი-კილმარნოკი | 1.80 | 2.00 |
| 14054 | დანფერმლაინი-მაზერველი | 2.00 | 1.80 |
| 14055 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 1.60 | 2.30 |
| 14057 | ლივინგსტონი-ფალკირკი | 1.80 | 2.00 |
| 14058 | ინვერნესი-რეინჯერსი | 2.50 | 1.30 |
| 14075 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 2.40 | 1.45 |
| 14077 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1.45 | 2.40 |
| 14078 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.55 | 2.30 |
| 14079 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.60 | 2.20 |
| 14080 | მაინცი-კიოლნი | 1.65 | 2.10 |
| 14081 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 2.00 | 1.80 |
| 14083 | შტუტგარტი-დუისბურგი | 1.20 | 2.60 |
| 14084 | არმინია-ვერდერი | 2.30 | 1.60 |
| 14086 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 2.10 | 1.70 |
| 14097 | ასკოლი-იუვენტუსი | 2.50 | 1.30 |
| 14099 | კიევო-რეჯინა | 1.45 | 2.40 |
| 14100 | ემპოლი-პარმა | 1.80 | 2.00 |
| 14101 | ლეჩე-ინტერი | 2.60 | 1.20 |
| 14103 | მესინა-კალიარი | 1.70 | 2.20 |
| 14104 | მილანი-სამპდორია | 1.20 | 2.50 |
| 14106 | პალერმო-სიენა | 1.45 | 2.40 |
| 14107 | რომა-ლივორნო | 1.45 | 2.40 |
| 14108 | ტრევიზო-ლაციო | 1.90 | 1.90 |
| 14109 | უდინეზე-ფიორენტინა | 1.95 | 1.85 |
| 14142 | ალავესი-სოსიედადი | 1.90 | 1.90 |
| 14144 | ბილბაო-ხეტაფე | 1.80 | 2.00 |
| 14145 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 14146 | კადისი-რასინგი | 1.80 | 2.00 |
| 14147 | სელტა-რეალი | 2.10 | 1.70 |
| 14148 | ესპანიოლი-მალაგა | 1.65 | 2.20 |
| 14149 | მალიორკა-ბარსელონა | 2.60 | 1.20 |
| 14151 | ოსასუნა-ბეტისი | 1.60 | 2.30 |
| 14153 | სევილია-ვილარეალი | 1.80 | 2.00 |
| 14154 | ვალენსია-სარაგოსა | 1.30 | 2.50 |
| 14167 | ბორდო-ლანსი | 1.60 | 2.30 |
| 14169 | ისტრი-რენი | 1.45 | 2.40 |
| 14171 | ლე მანი-ტულუზა | 1.60 | 2.30 |
| 14172 | მარსელი-სოშო | 1.30 | 2.50 |
| 14174 | ნანსი-აიაჩო | 1.45 | 2.40 |
| 14176 | ნანტი-ტროა | 1.60 | 2.30 |
| 14177 | სტ.ეტიენი-ნიცა | 1.65 | 2.20 |
| 14178 | სტრასბური-პსჟ | 2.00 | 1.80 |
| 14180 | ლილი-მეცი | 1.20 | 2.50 |
| 14182 | მონაკო-ლიონი | 2.00 | 1.80 |
| 14732 | განა-სენეგალი | 2.00 | 1.65 |
| 14733 | ნიგერია-ზიმბაბვე | 1.05 | 2.90 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17051 | აბერდინი-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1.85 | 1.95 |
| 17054 | დანფერმლაინი-მაზერველი | 1.85 | 1.95 |
| 17055 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17057 | ლივინგსტონი-ფალკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17058 | ინვერნესი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17075 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17077 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17078 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17079 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | მაინცი-კიოლნი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17083 | შტუტგარტი-დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17084 | არმინია-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17086 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17097 | ასკოლი-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | კიევო-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17100 | ემპოლი-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ლეჩე-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | მესინა-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | მილანი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17106 | პალერმო-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17107 | რომა-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17108 | ტრევიზო-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17109 | უდინეზე-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17142 | ალავესი-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17144 | ბილბაო-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17145 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17146 | კადისი-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17147 | სელტა-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17148 | ესპანიოლი-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17149 | მალიორკა-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17151 | ოსასუნა-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17153 | სევილია-ვილარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17154 | ვალენსია-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17167 | ბორდო-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17169 | ისტრი-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17171 | ლე მანი-ტულუზა | 1.85 | 1.95 |
| 17172 | მარსელი-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17174 | ნანსი-აიაჩო | 1.85 | 1.95 |
| 17176 | ნანტი-ტროა | 1.85 | 1.95 |
| 17177 | სტ.ეტიენი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17178 | სტრასბური-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17180 | ლილი-მეცი | 1.85 | 1.95 |
| 17182 | მონაკო-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17231 | ბელენენსეში-პენაფიელი | 1.85 | 1.95 |
| 17232 | ბენფიკა-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17233 | ბრაგა-გიმარაეში | 1.85 | 1.95 |
| 17234 | ფერეირა-ბოავიშტა | 1.85 | 1.95 |
| 17235 | მარიტიმუ-ლეირია | 1.85 | 1.95 |
| 17236 | ნასიონალი-ჟილ ვისენტე | 1.85 | 1.95 |
| 17238 | ნავალი-ამადორა | 1.85 | 1.95 |
| 17239 | რიუ ავე-პორტუ | 1.85 | 1.95 |
| 17241 | სეტუბალი-აკადემიკა | 1.85 | 1.95 |
| 17732 | განა-სენეგალი | 1.85 | 1.95 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



ზაზა ფაჩულია დიდი ლებრონ ჯეიმსის დაფარებას ცდილობს

25 იანვარი

**ატლანტა 97:106 კლივლენდი**

ატლანტა: ჯონსონი (24), აივი (6), ჰარინგტონი (22), სმიტი (8), ფაჩულია (27 წუთი, 10 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა); ჩილდრესი (12), ლუ (9), უილიამსი (2), ბატისტა (2), ედვარდსი (2), სტუდემაიერი

კლივლენდი: პავლოვიჩი (3), ჯეიმსი (38), სნოუ (9), გუდენი (11), ბილგაუსკასი (18); მარშალი (19), ჯონსი (5), ჰენდერსონი (3), ნიუბლი, ვილკსი, ჯექსონი, ვარეჯა

**ტორონტო 88:104 ჩიკაგო**

ტორონტო: ბოში (20), ჯეიმსი (19)

ჩიკაგო: დუჰონი (26), სონგაილა (19)

**ბოსტონი 87:89 ვაშინგტონი**

ბოსტონი: პირსი (25)

ვაშინგტონი: ჯემისონი (26), ჰეივუდი (21)

**ნიუ იორკი 102:106 საკრამენტო**

ნიუ იორკი: მარბერი (22), ტეილორი (21)

საკრამენტო: ბიბი (35), მილერი (25)

**დეტროიტი 106:102 მილუოკი**

დეტროიტი: ჰამილტონი (35), ბილაფსი (23), რ. ვოლესი (20)

მილუოკი: რედი (41)

**ნიუ ორლეანი 68:84 სან ანტონიო**

ნიუ ორლეანი: ვესტი (15), ბატლერი (15)

სან ანტონიო: დანკანი (17)

**ჰიუსტონი 102:78 შარლოტი**

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (29), ბაქტერი (18)

შარლოტი: კეროლი (19)

**იუტა 94:113 სიეტლი**

იუტა: კირილენკო (24), ოქური (20)

სიეტლი: ალენი (22), რიდნური (17)

**პორტლენდი 94:97 დენვერი**

პორტლენდი: რენდოლფი (18), დიქსონი (17)

დენვერი: ენტონი (26), მილერი (21), მარტინი (21)

**კლიპერსი 90:77 ნიუ ჯერსი**

კლიპერსი: ბრენდი (19), კამანი (17)

ნიუ ჯერსი: კიდი (19), ჯეფერსონი (15)

**გოლდენ სტეიტი 93:102 დალასი**

გოლდენ სტეიტი: დევისი (26), მერფი (22)

დალასი: სტეკჰაუსი (23), ნოვიცკი (18)

# იშრომე, რათა ითამაშო

## ცინცაძემ დინამო დაიმსახურა

შარშან ნოემბერში, როცა გიორგი ცინცაძე მოსკოვის „დინამოში" მიდიოდა, არაერთი სპეციალისტი და გულშემატკივარი ნეგატიურად უყურებდა ამ ტრანსფერს — ცინცაძემ ცსკა-ში ყოფნით რა მოიგო, ახლა არანაკლებ ძლიერ „დინამოში" რომ წავიდესო. ცხადია, უმჯობესი იყო, ახალგაზრდა ქართველი შედარებით მოკრძალებული ამბიციების მქონე გუნდში წასულიყო, სადაც ნაკლები კონკურენცია იქნებოდა და შესაბამისად მოედანზეც ხშირად გავიდოდა, თუმც არც „დინამოშია" გიო სკამს მიჯაჭვული. გიომ გასულ კვირაში ულების თასზე 30 წუთი ითამაშა გერმანული „სკაილაინერსის" წინააღმდეგ. დაბალი დონის გუნდში მთელი მატჩი მოედანზე ყოფნას, ალბათ, ვარსკვლავებით სავსე „დინამოში" თუნდაც 10-15 წუთით თამაში სჯობს, რაც ცინცაძემ მოსკოველებისგან უკვე დაიმსახურა. გუშინ მას რუსეთის დედაქალაქში შევეხმიანეთ და თავდაპირველად „სკაილაინერსთან" მატჩზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...



— ვიცოდი, რომ „სკაილაინერსთან" ვითამაშებდი, მაგრამ არ მეგონა, თუ მწვრთნელი ამდენ ხანს დამტოვებდა მოედანზე. „დინამოს" ძირითადმა გამთამაშებელმა, ბოიან პოპოვიჩმა ხელი მოიტეხა და მატჩამდე დუშან ივკოვიჩმა მითხრა, დღეს შენზე ბევრი იქნება დამოკიდებულიო. ყველაფრის მიუხედავად, არ მეგონა, თუ სასტარტო ხუთეულში დამაყენებდა. მეტოქე ძალიან ძლიერი იყო და ჩვენი გუნდიც საბრძოლო შემადგენლობით თამაშობდა.

— შესანიშნავადაც ითამაშე, 30 წუთში 10 ქულა და 3 პასი...

— მართლაც ძალიან დიდხანს დამტოვეს მოედანზე. 30 წუთი რუსეთში როდის ვითამაშე, აღარც კი მახსოვს. ივკოვიჩმა ასე იმიტომ გადაწყვიტა, რომ თამაშს ალლო ავუღე და რიტმში ჩავჯექი. 10 ქულა ნორმალური შედეგია გამთამაშებლისთვის, თუმც ნამატჩევს უფრო კარგი დაცვის გამო შემაქეს. ბევრი არ ულაპარაკია ივკოვიჩს, მითხრა, ყოჩაღ, დაცვაში კარგად იდექი და თამაშიც მშვენივრად მიგყავდაო.

— ამის შემდეგ რუსეთის ჩემპიონატში როსტოვის „ლოკომოტივთან" არ გითამაშია, ალბათ, მატჩის დაძაბულობის გამო...

— არა, „ლოკომოტივამდე" თასზე მოსკოვის რეგიონის „დინამოს" შევხვდით და ეს მატჩი უფრო დაძაბული იყო, მაგრამ მოედანზე მაინც გავედი. დაახლოებით 8-10 წუთი ვითამაშე, მაგრამ ვერ ვიტყვი, ყველაფერი გამომივიდა-მეთქი. ის თამაში, სამწუხაროდ, წავაგეთ.

— ბოლო მატჩებში სისტემატურად ხარ განაცხადში. არადა, ბევრი ამბობდა, ცინცაძეს ძირითადში მოხვედრა გაუჭირდებაო...

— „დინამოს" ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. მართლაც ძნელია ჩემი ასაკის მოთამაშისთვის ძირითადში დამკვიდრება, მაგრამ შანსი მომცეს და ვცდილობ, გამოვიყენო.

— როგორ ფიქრობ, დაუმტკიცე გუნდის ხელმძღვანელებს, რომ თამაშს იმსახურებ?

— ახლა საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ და ვფიქრობ, მწვრთნელებს ცუდი არ ეთქმით ჩემზე. გუნდში კარგად ჩავჯექი, თავს გაუცხოებულად არ ვგრძნობ. ვარჯიშებზე მწვრთნელ-მოთამაშეებს ისეთივე დამოკიდებულება აქვთ ჩემდამი, როგორიც ნებისმიერი დინამოელის მიმართ. რაც მთავარია, ივკოვიჩი მენდობა, თუმც მისი თანაშემწე მოდუნების საშუალებას არ მაძლევს. სულ რაღაცებს მისწორებს, მეუბნება, დიდი კალათბურთი რომ ითამაშო, ჯერ კიდევ ბევრი უნდა იშრომოო.

— მომდევნო შეხვედრა როდის გაქვთ?

— ხვალ რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერს ვეთამაშებით და იმედი მაქვს, მოედანზეც გავალ. ისე, შემადგენლობაში ერთი ცვლილება მოხდა და ჯერ არ ვიცი, რა როგორ იქნება. ფინელი ჰანო მიტოლა გუნდიდან გაუშვეს და მის ნაცვლად ხორვატი მსროლელი მარინო ბაზდარიჩი მოიყვანეს. მე გამთამაშებელი ვარ და არა მგონია, ბაზდარიჩმა კონკურენცია გამიწიოს.

**ირაკლი პერტაია**

# თასი დაითოვლა

## შეხვედრებით მარტში

**იმის** გამო, რომ დიდთოვლობამ გუნდების მზადების პროცესი შეაფერხა და ქუთაისის გუნდი სულაც ვერ ჩამოდის თბილისში, ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ საქართველოს თასის გათამაშება გაზაფხულისთვის გადადოს — თქვა გუშინდელ არგამართულ პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრესატაშე ზურაბ თალაკვაძემ და კაფე „მსოფლიო სპორტში" შეკრებილ ჟურნალისტებს ამ უამინდობაში ამაოდ შეწუხებისთვის ბოდიში მოუხადა.

არადა, თასის გათამაშება დღეს უნდა დაწყებულიყო, ხოლო ჩაშლილ პრესკონფერენციას ამ ტურნირის მონაწილე რვავე გუნდის წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა, მაგრამ...

უკვე ცნობილია, რომ თასის გათამაშება 10-12 მარტს გაიმართება. არც წყვილები შეცვლილა და არც კალენდარი, ჩვენ კი ერთხელაც გავიხსენოთ მერვედფინალში მოცილე გუნდები.

## საქართველოს თასი

**მეოთხედფინალი** 10.03.2006

თსუ-ნიკორა
სსუ

სტუ
მაკაბი

ავიამშენი
ქუთაისი

დინამო
აზოტი

**ნახევარფინალი** 11.03.2006

**ფინალი** 11.03.2006



საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შტაბი:
პაატა ნარიმანაშვილი, მალხაზ ჭეიშვილი, დავით ჩავლეიშვილი

# ბორჯღალოსანთა საბრძოლო სარუსეთო რაზმი

**საქართველოს** ნაკრების სამკაცა სამწვრთნელო შტაბმა ის 22-კაციანი საბრძოლო რაზმი გამოაცხადა, ევროპის ერთა თასის საოთხთებერვლო ჯახისთვის რუსეთს რომ დაახვედრებენ.

ბორჯღალოსანთა რაზმში მხოლოდ სამი მორაგბეა, ჩვენს ჩემპიონატში რომ თამაშბს, დანარჩენები ლეგიონერები არიან. ამათგან ერთი, სტაჟიანი ბორჯღალოსანი ბესიკ ხამაშურიძე იტალიურ „როვიგოში" ჩაუქობს, ფლანკერი რატი ურუშაძე რუსეთში, სხვები კი საფრანგეთის სხვადასხვა დივიზიონებში თამაშობენ.

დებიუტანტი არავინაა. ყველას აქვს საბრძოლო ნათლობა და სადღეისოდ ოპტიმალური შემადგენლობაც შეიკრიბა. ბორჯღალოსნები სრულად 1 თებერვალს გორში შეიკრიბებიან და სამდღიან ბანაკს გაშლიან სარუსეთოდ. მწვრთნელების — მალხაზ ჭეიშვილის, დავით ჩავლეიშვილისა და პაატა ნარიმანაშვილის რჩეულები ესენი არიან:

შერკინება: გოდერძი შველიძე, დავით ზირაქიშვილი (ორივე მონფერანი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), ავთო კოპალიანი (მონტობანი), ოთარ კუთარაშვილი, ილია ზედგინიძე (ორივე ექსან-პროვანსი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), ლევან დათუნაშვილი (ვიარზონი), გია ლაბაძე (ტულონი), ბესიკ უდესიანი (შალონი), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი), რატი ურუშაძე (ენისეი)

უკანა ხაზი: ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი), ბიძინა სამხარაძე (ლოკომოტივი), პალიკო ჯიმშელაძე (ბობინი), ირაკლი გიორგაძე (ბურგუენი), თემურ სოხაძე (ვიარზონი), ირაკლი მაჩხანელი (ბეზიე), ბესიკ ხამაშურიძე (როვიგო), მალხაზ ურჯუკაშვილი (კანი), ოთარ ბარკალაია (ანდორა), გიორგი შკინინი (ხულიგანა)

იმ შემთხვევისთვის, თუ შეკრებაზე ვინმე დაშავდება ან სხვა მიზეზით დააკლდება გუნდს, მწვრთნელებს სათადარიგო ვარიანტიც აქვთ. ლოკომოტიველი მორკინალი დავით გასვიანი და მისივე თანაკლუბელი უკანახაზელი მიხეილ სუთიაშვილი შეკრებაზე იქნებიან და საჭიროების შემთხვევაში ჩაენაცვლებიან ბორჯღალოსნებს.



# სახალხო სპორტმა სახალხო ბანკი დაიმეგობრა

**საქართველოს** ჭიდაობის ფედერაციამ 2006 წლის სეზონი საქმიანი ხელშეკრულებით გახსნა. „სახალხო ბანკის" ვაკის ოფისში ბანკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ოფიციალურად გააფორმეს და მცირე ბრიფინგიც მოაწყვეს.

„ჭიდაობა საქართველოში სახალხო სპორტია და სახალხო ბანკიც ხალხის გვერდით უნდა იდგეს — განაცხადა გოგუაძემ — ფედერაციასთან ურთიერთობა წლების წინ დავიწყეთ, მაგრამ აქამდე ჩვენი თანადგომა მხოლოდ ვეტერანი სპორტსმენების ფინანსური დახმარებებით შემოიფარგლებოდა, ახლა კი „სახალხო ბანკი" ჭიდაობის ფედერაციის გენერალური სპონსორი ხდება. ეს ჩვენთვის უდიდესი პატივია".



გიორგი გოგუაძე და კახა გეწაძე მსოფლიოს ჩემპიონების, რევაზ მინდორაშვილისა და ლუკა კურტანიძის ფონზე

ფედერაციის პრეზიდენტმა ხელშეკრულებამდე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შარშანდელი წარმატება და სახელმწიფოს თანადგომა ახსენა:

— ჭიდაობა საქართველოში ტრადიციულად ერთ-ერთ უპოპულარულეს სახეობად მიიჩნევა. ძლიერი სპორტსმენებიც ღვთის მადლით არასოდეს გვაკლდა, მაგრამ შედეგი მნიშვნელოვანწილად ხელშეწყობაზეა დამოკიდებული. ბოლო წლებში სახელმწიფო ყოველმხრივ გვერდში გვიდგას. გამოჩნდნენ სპონსორებიც. მათთან კონტრაქტებს ახლო მომავალშიც გავაფორმებთ, თუმც გენერალური სპონსორის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ეს „სახალხო ბანკია". კონტრაქტი 2006 წლის ბოლომდეა ძალაში.

ვიდრე მხარეები კონტრაქტზე ხელს მოაწერდნენ, ეკრანზე „სახალხო ბანკის" სარეკლამო კლიპი გაუშვეს, ხელმოწერის შემდეგ კი გიორგი გოგუაძემ ფედერაციას ფინანსურთან ერთად სხვა დახმარებაც აღუთქვა — ვედებით, ჭიდაობის ფედერაციასთან საქმიანი ურთიერთობის დაჭერით სხვა კომპანიებიც დავაინტერესოთო.

გუშინვე შევიტყვეთ, რომ მოჭიდავეებამდე „სახალხო ბანკს" სამთოსათხილამურო სპორტის ფედერაციასთანაც გაუფორმებია კონტრაქტი, რამდენიმე დღეში კი ძიუდოს ფედერაციის სპონსორიც გახდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# მოჭიდავეები ოლიმპიურ პასუხს ელიან

**ამ დღეებში** ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) პრეზიდენტი რაფაელ მარტინეტი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგს შეხვდა და ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჭიდაობასთან დაკავშირებული ორი წესის შეცვლა სთხოვა. პირველი თხოვნა მედალოსანთა რაოდენობის გაზრდაა, მეორე კი ქალ მოჭიდავეთა წონითი კატეგორიებისა.

„შარშან ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები ახალი წესით ჩავატარეთ — განუცხადა მარტინეტიმ ერთ-ერთ ევროპულ სააგენტოს — ძიუდოსა და კრივის მსგავსად ჩვენც შემოვიღეთ დამამშვიდებელი ეტაპი და შესაბამისად, ბრინჯაოს მედალს უკვე ორი მოჭიდავე იღებს. სიახლემ გაამართლა და გვინდა ეს წესი ოლიმპიურ თამაშებზეც დაინერგოს — ქალთა შორის ჭიდაობაში კი ოლიმპიურ რეგლამენტში აქამდე დაფიქსირებული ოთხი წონითი კატეგორია შვიდამდე უნდა გაიზარდოს".

ფილას პირველკაცის სიტყვებით ჟაკ როგი მაშინვე დასთანხმებია აზრს, რომ ამ საკითხზე ოლიმპიურ კომიტეტს სერიოზულად წამუშავება მართებს, თუმც მარტინეტისთვის დამაიმედებელი პასუხი მაინც არ მიუცია. ჩვენთან გადაწყვეტილებას მთლიანად გუნდი იღებს, ყოველწლიური სესიებისას და მოჭიდავეთა თხოვნებზეც ერთად ვიმსჯელებთო, თქვა ჟაკ როგმა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



— 25 იანვარი —

**პიტსბურგი 8:1 ვაშინგტონი**
**1:0 2:1 5:0**

**1:0 ლეკლერი (17), 1:1 ოვეჩკინი (26), 2:1 რეკი (29), 3:1 რეკი (36), 4:1 ლეკლერი (42), 5:1 სუროვი (50), 6:1 კროსბი (53), 7:1 ბოგუნიცკი (53), 8:1 მელოუნი (56)**

## რეგულარული ჩემპიონატი

# ფრთაშესხმული პინგვინები და პოკერად ქცეული ჰეთ თრიქი

**მარიო** ლემიეს შეუძლია ერთიორი დღე მშვიდად დაისვენოს და არაფერზე იფიქროს. მას შემდეგ, რაც ლეგენდარულმა ჰოკეისტმა განაცხადა, კარიერას სამუდამოდ დავასრულებო, მისმა კლუბმა საოცარი თამაში ჩაატარა და აუტსაიდერი „ვაშინგტონი" გაანადგურა. ამ საღამოს ყველა „პინგვინს" ფრთები შეესხა, ახალგაზრდა სიდნი კროსბით დაწყებული ვეტერან მარკ რეკისა და ჯონ ლეკლერით დამთავრებული. ისინი თითქოს მიხვდნენ, რომ მარიოს წასვლა ცოტ-ცოტა ყველას ბრალია (წარმოიდგინეთ, როგორ ატკენდა მარიოს გულს გუნდის უფერული თამაში!). „პიტსბურგის" ჰოკეისტებმა ახლა უკვე მხოლოდ ბოსს დაანახვეს, რომ მათ რაღაც შეუძლიათ. განსაკუთრებით შთამბეჭდავი მესამე პერიოდი გამოდგა, რომელშიც მასპინძლებმა ხუთი შაიბა შეაგდეს. ხოლო რეკისა და ლეკლერის დუბლებს სიდნი კროსბიმ (1+3) პირველი ოთხქულიანი თამაში შეაგება.

სამწუხაროდ, მატჩის შუაგულში არასასიამოვნო ინციდენტი მოხდა, პიტსბურგელმა რაიან უიტნიმ ალექსანდრ ოვეჩკინს ყვანჯი მუცელში ჩაარტყა და „ვაშინგტონის" ლიდერი ყინულზე დაეცა. მართალია, მესამე პერიოდში ოვეჩკინი დაბრუნდა, მაგრამ მისი პარტნიორები მაინც შურისძიებით დაემუქრნენ მეტოქეს.

**ფილადელფია 3:5 მონრეალი**
**2:1 1:2 0:2**

**1:0 განიე (5), 2:0 მაიერი (8), 2:1 ბულისი (9), 2:2 ბულისი (27), 3:2 უმბერგერი (34), 3:3 ბულისი (37), 3:4 ბულისი (44), 3:5 ბეგინი (49)**

**იან** ბულისის ყინულზე გასვლა დილით ჯერ კიდევ საეჭვო იყო. „მონრეალის" ფორვადი ზუსტად ასპარეზობის გამო ბოლო მატჩებში უფრო თადარიგში იჯდა და ამჯერადაც, მისივე თქმით, დილით თავკაცმა ბობ გეინიმ მას პრესის ლოჟაში მიუჩინა ადგილი.

უცბად შუადღისას გეინიმ გამოიძახა, და მითხრა, რომ საღამოს ყინულზე მომიწევდა გასვლა" — თქვა ნამატჩევს სლოვაკმა, ხოლო თავად გეინი კი რას იფიქრებდა, რა გენიალურ ტაქტიკურ სვლად გადაიქცეოდა მისი გადაწყვეტილება.

ბულისი ნამდვილ რისხვად იქცა მასპინძელთათვის. პირველ ორ პერიოდში მან სამჯერ გაიტანა, მაგრამ ესეც არ იკმარა (მით უმეტეს, რომ ანგარიში 3:3 იყო) და ბოლო მესამედში იანმა ჰეთ თრიქი პოკერად აქცია, თანაც სწორედ მისი შაიბა აღმოჩნდა გადამწყვეტი, „ფილადელფიას" კი ლიდერი პეტერ ფორსბერგი დაუშავდა. მან კვლავ გაირთულა საზარდულის ტრავმა და ყინულის დატოვება მეორე პერიოდშივე მოუხდა.

**დალასი 4:3 სენტ ლუისი**
**1:1 1:0 1:2 0:0 1:0**
**ბულიტების სერიაში**

**0:1 უაიდმენი (4), 1:1 მოროუ (18), 2:1 ზუბოვი (40), 2:2 სილინჯერი (41), 2:3 დალმანი (54), 3:3 ბუშე (60). 4:3 გადამწყვეტი ბულიტი: ზუბოვი.**

**„დალასი"** ერთადერთი გუნდია ლიგაში, ვისაც ჯერჯერობით არც ერთი ბულიტების სერია არ წაუგია, ეს კი მეტწილად ახალბედა იუსი იოკინენის დამსახურებაა. მართალია, იგი თავის მოგვარე ოლი იოკინენისავით („ფლორიდას" ლიდერი) სახელგანთქმული არ არის, მაგრამ ბულიტებს რაღაც საოცარი სიდინჯით და ოსტატობით ასრულებს და ვერც ერთმა მეკარემ ვერ მიაგნო მისი წარმატების საიდუმლოს. ამჯერადაც სწორედ იუსის მიერ შესრულებულმა საჯარიმო რეიდმა გადაწყვიტა საბოლოოდ თამაშის ბედი, თუმცა ოქმებში მისი სახელი არ ჩაიწერა, ვინაიდან მანამდე პირველი ბულიტი სერგეი ზუბოვმა გამოიყენა, ხოლო სტუმრებმა ორივე ცდა გააცუდეს.

**ფლორიდა 3:4 კაროლინა**
**2:2 1:0 0:1 0:0 0:1**
**ბულიტების სერიაში**

**1:0 შტუმპელი (1), 2:0 ვან რინი (13), 2:1 კალენი (13), 2:2 ბრინდამორი (19), 3:2 ჰორტონი (31), 3:3 ბრინდამორი (59), 3:4 გადამწყვეტი ბულიტი: კოული**

**ანაჰაიმი 3:6 ედმონტონი**
**1:0 2:2 0:4**

**1:0 კუნიცი (10), 2:0 სელიანე (22), 2:1 ბერჟერონი (26), 3:1 სელიანე (27), 3:2 სტეიოსი (40), 3:3 ჰემსკი (44), 3:4 პრონგერი (51), 3:5 პრონგერი (52), 3:6 ჰორკოფი (60)**

**სამველ ლარიბიანი**

**ნახევარფინალი**

**კაცები**

**მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) — დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 4) — 6:3 7:5 3:6 6:4**

**ქალები**

**ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 8) — მარია შარაპოვა (რუსეთი, 4) — 4:6 6:1 6:4; ამელი მორეზმო (საფრანგეთი, 3) — კიმ კლაისტერსი (ბელგია, 2) — 5:7 6:3 3:2**

# სკალპებზე მონადირე ბაღდატისი

## ბელგიური ფინალი მორეზმომ ჩაშალა



მარკოს ბაღდატისს მელბურნში ყველაფერი გამოსდის



ამელი მორეზმო მძიმედ დაწყებულ ტურნირს ყოჩაღად აგრძელებს



ჟუსტინ ენინ-არდენი ფინალში ბექჰენდით გავიდა

**კორტზე** დაუღალავი სირბილი, მაქსიმალური კონცენტრირება და მეტოქის სისუსტეების უკეთესად გამოყენება — აი, რისი წყალობით მოახერხა ჟუსტინ ენინ-არდენმა მარია შარაპოვას დამარცხება. ბელგიელმა უკვე ზედიზედ მეცამეტედ იმარჯვა მელბურნის კორტებზე და ბოლო სამი წლის განმავლობაში მეორედ გავიდა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში.

არადა, ვერავინ იტყვის, შარაპოვამ ცუდად ითამაშაო. უფრო მეტიც, მარიამ ტურნირის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი ბელგიელის დასამარცხებლად, ამას კი მხოლოდ ერთი მიზეზი აქვს — რუსი პრიმას თამაშს მეტოქეები საკმაოდ ადვილად შიფრავენ. მარია, უდავოდ, ძლიერი ჩოგბურთელია, მაგრამ მრავალფეროვნება ნამდვილად აკლია, რაც აადვილებს მის წინააღმდეგ თამაშს.

ენინთან შეხვედრაშიც მარია სულ უტევდა, გათამაშებათა უმრავლესობის დროს უპირატესობა მის მხარეზე იყო, მაგრამ უფრო ხშირად ქულას მაინც ენინი იგებდა. ეს იმიტომ, რომ ბელგიელი, ფაქტობრივად, წინასწარ გარბოდა იმ ადგილისკენ, საითაც ბურთი მიემართებოდა.

გარდა ამისა, ენინმა მეოთხედფინალში ლინდსი დევენპორტთან შეხვედრის შემდეგ თავისი თამაში უფრო მაღალ დონეზე აიყვანა. ჭინკა ბელგიელი მაქსიმალურად აკურატული იყო — სულ რაღაც 30-მდე უნებლიე და 5 ორმაგი შეცდომა დაუშვა.

ეს თამაში ენინ-დევენპორტის შეხვედრის დარად წარიმართა — ბელგიელმა პირველი სეტი დათმო, მეორედან კი აშკარად უმატა თამაშს და შარაპოვამაც ვეღარ გაუძლო — სეტებში ანგარიში გათანაბრდა.

მესამე პარტია თანაბარი ორთაბრძოლით დაიწყო, გარდამტეხი მომენტი კი მეხუთე გეიმში დადგა, როცა შარაპოვამ, მიუხედავად აქტიური თამაშისა, მაინც „მოახერხა“ თავისი მოწოდების დათმობა. ამის შემდეგ ენინმა კიდევ ორი გეიმი მოიგო და 5:2 დაწინაურდა. თითქოს ყველაფერი გადაწყდა, მაგრამ მარიამ კიდევ გაიბრძოლა და მალე საპასუხო ბრეიკის გაკეთებით ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა — 5:4; ყველამ იფიქრა, რომ თამაში კვლავ გაიწელებოდა, მაგრამ მარიას ამ მომენტში აშკარად დაეტყო ნერვიულობა, ორიოდე უნებლიე შეცდომა დაუშვა და ენინს კიდევ ერთი შანსი მისცა. ბელგიელმა ამჯერად ამ შესაძლებლობით ისარგებლა და პირველივე მატჩ-პოინტზე დიდებული ბექჰენდით ფინალში გასვლა გაიფორმა.

„დიდებული შეხვედრა იყო... ვფიქრობ, მარიამ კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში აჩვენა, მისგან ასეთი რამ არასოდეს მინახავს... მეორე სეტიდან უფრო გავაქტიურდი, ცოტა წინ წავიწიე და ამან გაამართლა... ძალიან ბედნიერი ვარ ამ გამარჯვებით“ — ემოციებს ვერ მალავდა ენინი.

შარაპოვამ კი, რომელიც „დიდი მუზარადის“ ბოლო ხუთ ტურნირზე მეოთხეჯერ მოახერხა ნახევარფინალში გასვლა და იქ დამარცხება, თქვა:

„რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ ჩემს მიერ ნაჩვენები თამაში ძალიან მახარებს. მართლაც, უმაღლესი დონის ჩოგბურთი ვითამაშე და ვიმედოვნებ, ამას მომავალშიც შევძლებ. დღეს არ გამიმართლა, სხვა დროს გამიმართლებს“.

მეორე ფინალისტი ასევე შეიძლება ბელგიელი ყოფილიყო, მაგრამ კიმ კლაისტერსს იღბალმა უმუხთლა. იგი ისედაც ტრავმით ასპარეზობდა, ამელი მორეზმოსთან მატჩის მესამე სეტში კი კოჭი გადაიბრუნა და თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. არადა, ვითარება საკმაოდ თანაბარი იყო და ბელგიელს ფინალში გასვლის კარგი შესაძლებლობა ჰქონდა. მორეზმო კი, რომელმაც ტურნირი საკმაოდ მძიმედ დაიწყო, ახლა, მართლაც, კარგ ფორმაშია. თუმცა ფინალში ფავორიტი, ალბათ, მაინც ენინი იქნება — ჯერ ერთი, ბელგიელს პირად შეხვედრაში 4:3 მიჰყავს, მეორეც — ენინმა უკვე ორჯერ დაამარცხა მელბურნში მორეზმოს ტიპის, ძალისმიერი სტილის მოთამაშე და წესით, ფრანგთანაც ისე ითამაშებს, როგორც წინა ორ შეხვედრაში.

გაირკვა კაცების ტურნირის ერთი ფინალისტის ვინაობაც.

მარკოს ბაღდატისს, ალბათ, ძეგლის დადგმა არ ასცდება მშობლიურ კვიპროსზე. ამ ჯერად უკვე მეოთხე განთესილ მოთამაშეს „ახადა სკალპი“ და ფინალშიც გავიდა.

ამჯერად კვიპროსელის მსხვერპლი მეოთხე ნომერი დავიდ ნალბანდიანი შეიქნა, არგენტინელმა კი „დიდი მუზარადის“ ტურნირის მოგებაზე ოცნება ცოტა ხანს უნდა გადადოს. კაცმა რომ თქვას, ნალბანდიანმა ეს მხოლოდ თავის თავს უნდა დააბრალოს, რადგან ფინალის საგზური, ფაქტობრივად, ჯიბეში ედო.

ბაღდატისმა კი დაამტკიცა, რომ ის ყოველთვის ბოლომდე იბრძვის, თან ძალიან კარგად. ამ კვიპროსელმა, რომელიც რეიტინგში ჯერ მხოლოდ 54-ეა, ნალბანდიანთან პირველი ორი სეტი წააგო. და, ალბათ, ბევრმა იფიქრა, რომ ბაღდატისის სენსაციებს ბოლო მოეღებოდა. არა! კვიპროსელმა ამჯერად ყველაზე დიდი სენსაცია მოახდინა და ამ უმძიმესი მდგომარეობიდანაც გამოძვრა.

ეს კი არა და, გადამწყვეტ პარტიაში ბაღდატისი ჯერ 0:2-ს, შემდეგ 2:4-ს აგებდა, მაგრამ არც ამას შეუშინდა და ზედიზედ ოთხი გეიმის აღებით ფინალში გავიდა. ისე კი, როცა ანგარიში 5:4 იყო და კვიპროსელს თავის მოწოდებაზე მხოლოდ სამი ქულის მოგება სჭირდებოდა, წვიმა დაიწყო და თამაში 25 წუთით შეწყდა. ამ დროს მარკოსი ისეთი განწირული სახით შეჰყურებდა ზეცას, თითქოს ეხვეწებოდა, ცოტა კიდევ მაცალეო.

ასე იყო თუ ისე, კორტზე დაბრუნების შემდეგ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა, ნალბანდიანმა ვერ გამოიყენა ბოძებული შანსი და ფინალში ადგილი კვიპროსელს დაუთმო.

„ეს გასაოცარია. თითქოს სიზმარია, თითქოს საკუთარ სამყაროში ვარ და ყველაფერი გამომდის“ — თქვა ბაღდატისმა თამაშის შემდეგ.

**ბაჩა ლომაშვილი**

# ანა ტატიშვილი წყვილთა ნახევარფინალშია



**მელბურნში** მორიგი შეხვედრები გამართეს იუნიორებმა. ჩვენთვის უაღრესად დიდ ინტერესს იწვევს, 15 წლის ანა ტატიშვილის ასპარეზობა, რომელიც ავსტრალიაში როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრიგში გამოდის.

სამწუხაროდ, ანამ ვერ შეძლო მესამე წრის შეხვედრის მოგება კანადელ, მეხუთე ნომრად განთესილ შერონ ფიხმანთან. შეხვედრა ძალიან საინტერესო და დაძაბული გამოდგა, რაზეც ისიც კარგად მეტყველებს, რომ გამარჯვებულის გამოსავლენად სამი სეტის ჩატარება გახდა საჭირო და 2 საათსა და 45 წუთს გაგრძელდა.

ასეა თუ ისე, ტატიშვილი გამოეთიშა ერთეულთა ასპარეზობას. სამაგიეროდ, ანა და მისი მეწყვილე, დანიელი კაროლინ ვოზნიაკი წარმატებით ასპარეზობენ და უკვე ნახევარფინალშიც გავიდნენ. ქართულ-დანიური წყვილი იოლად, ორ სეტში — 6:4 6:2 გაუმკლავდა ჰოლანდიელებს — მარიტ ბოონსტრასა და რენე რეინჰარდს.

ნახევარფინალში ტატიშვილ-ვოზნიაკის წყვილს ფრანგულ-იტალიური დუეტი დაუპირისპირდება — ალიზ კორნეტისა და კორინა დენტონის შემადგენლობით.

ასე რომ, ქართველ ჩოგბურთელს ერთი ნაბიჯის გადადგმაღა დარჩა ავსტრალიის ღია პირველობის წყვილთა ფინალში სათამაშოდ.

**ბაჩა ლომაშვილი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge